ეკ. ბეტარიძე

დემოკრატიზმი

პარიზი
1938

უძღვნი სამშობლოსა და ერის

თავისუფლებისათვის თავდადებულთ,

ჩემს დაუვიწყარ ძმებს

ლეო და კაკო ნიკოლოზის ძე დგებუაძეებს

წინასიტყვაობა

დემოკრატიზმის საკითხი მთელი მსოფლიოს მაშტაბით სდგას თეორიულ-იდეურ აზროვნებისა თუ პრაქტიკული პოლიტიკური მოქმედების არეზედ. დემოკრატიზმის კრიზისებმა, უკანასკნელი წლების მანძილზედ რომ თავი იჩინა, კიდევ უფრო აქტუალურად გახადა ეს საკითხი. პოლიტიკური მოაზროვნენი თუ პრაქტიკული მომქმედნი დიდ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს. თეორიულ და უფრო კი პრაქტიკულ ასპარეზზედ სწავლობენ და არკვევენ მას.

მრავალი სახელმწიფოს აწმყო და მომავალი ბედია დამოკიდებული ამ საკითხისადმი სწორი და რეალური პასუხის გაცემისაგან. ზოგმა სახელმწიფომ სწრაფი, რადიკალური და ნაწილობრივ უხეში ზომები მიიღო მათი დემოკრატიისათვის შექმნილი კრიზისიდან გამოსასვლელად. ზოგნი კი სათანადო დარბაისლობითა და დაკვირვებით ახდენენ ზოგიერთ საჭირო შესწორებებს კრიზისით დაავადებულ მათ დემოკრატიულ წყობილებაში.

ქართველ ერს დროებით წართმეული აქვს თავისუფალი სახელმწიფოებრივი არსებობა. ჩვენი აზროვნებისა, მოქმედებისა და ზრუნვის პირველ რიგში სდგას დაკარგული ეროვნული თავისუფლების კვლავ მოპოება და საქართველოსი და ქართველი ერის სახელმწიფოებრივი არსებობის აღდგენა. საქართველო დაეცა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა; მისი განთავისუფლებისა

და აღდგენისათვის მზრუნველ და მომქმედ ინტელიგენ-
ტურ ძალთა ერთი ნაწილის აზრია მისი კვლავ დემო-
კრატიულ, რესპუბლიკანურ - პარლამენტარულ ფორმე-
ბში აღდგენა. აქედან ცხადია რომ ქართველიც დიდის
ინტერესით უნდა ადევნებდეს თვალყურს მსოფლიო
მაშტაბით დასმულ დემოკრატიზმის საკითხს, სწავლო-
ბდეს მას მსოფლიოს მაგალითებზედ საკუთარ ეროვ-
ნულ მეობასთან, სულთან და პირობებთან შეფარდებ-
ბით. ამ საკითხებში წინასწარ გარკვეულობასა და მომ-
ზადებას შეუძლია ბევრი მოსალოდნელი ხიფათისაგან
ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გადა-
რჩენა.

ამ მოსაზრებით განვიზრახეთ ქართველი მკითხვე-
ლისათვის მიგვეწოდებინა ეს პატარა ნაშრომი, დემო-
კრატიზმის საკითხს რომ მეტად კონსპექტიურად ეხება.
ამ საკითხის, თავისდათავად, სირთულე და სიმძიმე, დე-
მოკრატიული თავისუფლების რეჟიმის საჭიროების შეგ-
ნება, ჩვენი სამშობლო ქვეყნისა და ერისადმი ბუნებრი-
ვი სიყვარული, მისი აღდგენა გაძლიერებისა და მარა-
დიულობის სარწმუნოებრივი სურვილი, და ყველა აქე-
დან გამომდინარე საჭირო ობიექტიურობის შენარჩუნე-
ბა, ვგრძნობთ, რომ მეტად მძიმე ტვირთია ემიგრანტუ-
ლი ცხოვრებით ისედაც მეტად დამძიმებული ქართვე-
ლის გონებისათვის. არც პრეტენზია გვაქვს ამ დიდი
პრობლემებისათვის შესაფერი და ამომწურავი პასუხის
გაცემისა. თუ ამ ნაშრომში დასმულმა საკითხებმა და
მათ შესახებ გამოთქმულმა აზრებმა სათანადო ინტერე-
სი გამოიწვია ჩვენს თანამემამულეთა შორის, ჩვენ თავს
ამითაც კმაყოფილად მივიჩნევთ.

ელ. პატარიძე

საზოგადო მიმოხილვა

დემოკრატიის ნიშნები საბერძნეთისა და რომის იმპერიათა ეპოქაში. დემოკრატიზმისა და აბსოლუტიზმის შორის მუდმივი ბრძოლა. დემოკრატიზმის თანდათანი გაამრჯვებანი.

ისტორიული ხანის დასაწყისიდანვე ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებასა და აზროვნებაში საკმაოდ მოიპოვება ჩასახული დემოკრატიის ფესვები და ელემენტები. დემოკრატიზმის და აბსოლუტიზმის ან და დესპოტიზმის შორის ბრძოლა იმდენადვე ძველი ამბავია, დამდენადაც ხალხთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური არსებობა. ამ ბრძოლის წითელი კვალი განუწყვეტლივ მოსდევს კაცობრიობის ისტორიის გზატკეცილს.

ისტორიის შორეული წარსული ნაკლებად მისაწვდენია ჩვენი დროის ადამიანის სუსტი თვალისათვის. ჩვენს მიერ დასახული მიზნისათვის საკმაოდ მივიჩნიოთ დემოკრატიის რეალურად ჩასახვის ხანად ავიღოთ ძველი საბერძნეთის იმპერიისა და რომის იმპერიის პერიოდი. ამ ორი დიდი იმპერიის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა პერიოდში, სხვა და სხვა სახით ჩაისახა და განვითარდა დემოკრატია. ისტო-

რიკოსთაგან ზოგნი დემოკრატიის განვითარებას მიაწერენ ამ ორი ძველი იმპერიის სულიერ, მატერიალურ და ფიზიკურ ძალათა უაღრესად განვითარებას; ზოგნი კი იმავე დემოკრატიაშივე ჰხედავენ ამ ორი დიდი იმპერიის სულიერი, მატერიალური და ფიზიკური სიძლიერის დეკადანსისა და დაცემის მიზეზებს. წარსულის შესახებ ამ ორი სხვა და სხვა შეხედულებისა და დაფასების შორის ბრძოლა ისტორიკოსებს დაუთმოთ. მათ შორის მომრიგებლად ან არბიტრად გამოსვლა ჩვენს ძალას აღემატება, და ჩვენს მიერ აქ დასახულ მიზანსაც ძლიერ დაგვაშორებდა.

ბიზანტიისა და რომის იმპერიის დაცემით კაცობრიობის პოლიტიკური ისტორიის წინსვლა არ შეწყვეტილა. დემოკრატიული იდეებიც კვალ და კვალ მოსდევს სახელმწიფოთა პოლიტიკურს წინმსვლელობას.

აბსოლუტური მონარქია ღვთისაგან მისადმი ბოძებულათა სთვლის მეფობის უფლებას. მისი დამცველების აზრით ყოველგვარი უფლება მეფისაგან გამოდის, მეფე არის ერთად ერთი სუვერენი ამა ქვეყნად. აღვიძებული და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათან შეჭრილი ხალხი წინააღმდეგსა ჰფიქრობს: პოლიტიკური უფლებები თვით ხალხისაგან წარმოიშობიან, თვით ხალხი არის სუვერენი. ეს ორი მოწინააღმდეგე აზრი ორ სახელდობრივ ფორმაში ყალიბდება — კლასიციზმში და რომანტიზმში. პირველი იცავს მეფის აბსოლუტურს უფლებას, მის სუვერენობას, მეორე კი ხალხის უფლებას, მის სუვერენობას. ამ ორი მიმართულების შორის ხან ფარული და ნელი, ხანაც აშკარა და შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებდა განსაკუთრებით მე-18—19-ე საუკუნოების სივრ-

ცეზედ, მეოცე საუკუნეშიაც გადმოვიდა და მიუხედავად ამ ბრძოლის ასეთი სიხანგრძლივისა მიუდგომელი, არა განკერძოებული გრძნობებით და სურვილებით, არამედ გონებით წარზიდული ადამიანისათვის ძნელია ამ ბრძოლის დაბოლოებისა და მისი შედეგების გათვალისწინება.

თანამედროვე დიდი თუ პატარა სახელმწიფოების— ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის და სხვათა დემოკრატიულ საფუძვლებზედ და დემოკრატიულ ფორმებში საკმაოდ ხანგრძლივი არსებობა, თითქოს დემოკრატიის გამარჯვების სასარგებლოდ ლაპარაკობს. ამათთაგან ზოგნი სახელმწიფოებრივად დაბადებიდანვე დემოკრატიულ საფუძვლებზედ დამყარდა, უბრძოლველად და მშვიდობიანად: ასეთი არის ამერიკა. ზოგმა კი ხანგრძლივი ბრძოლითა და ზღვა სისხლით დაიმკვიდრა დემოკრატიული წყობილება; მათ რიცხვში აღსანიშნავია საფრანგეთი. ამ ქვეყანაში დიდი რევოლუციის გამარჯვებამ უზრუნველჰყო და ცხოვრებაში განსახორციელებლად გადმოიტანა დემოკრატიის სრული ფორმა. ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში მოცემულია დემოკრატიის სრული შინაარსი, დემოკრატიის სრული ფორმა. პატარა შვეიცარიის სახელმწიფომ ხომ ყველასათვის სამაგალითოდ განახორციელა მმართველობის დემოკრატიული ფორმები და ამით დემოკრატიის ნიმუშად გახდა.

უკანასკნლი დიდი ომის დემოკრატიული ქვეყნების გამარჯვებით დაბოლოვებამ კიდევ ახალი გამარჯვება მოუპოვა დემოკრატიას: ძველი აბსოლუტური მონარქიული ქვეყნების იმპერიათა ნანგრევებზედ ახალი თავისუფალი

დემოკრატიული ქვეყნები აღმოცენდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დიდი ომის შემდეგ ევროპაში დემოკრატიამ გაიმარჯვა. „ისტორიაში დაიწყო ეპოქა მასების პოლიტიკურ ასპარეზზედ გამოსვლისა და დემოკრატიის გაძლიერების, ჩვენ არ ძალგვიძს ამ დიდ მოძრაობას წინაღუდგეთო“ — სწერდა ბ. მუსოლინი ფაშისტური რევოლუციის წინ.

დემოკრატიის თანდათანი გამარჯვება მე-19 — 20 საუკუნის არეზედ უდაო ფაქტია, მაგრამ არა ბევრის მთქმელი. არსებითი და მთავარი ის არის, მიუდგა თუ არა დემოკრატიის თეორია რეალურ ცხოვრებას, განხორციელდა თუ ვერა სახელმწიფოთა ცხოვრებაში, გაამართლა თუ ვერა მისი დანიშნულება? გამოადგება თუ ვერა დემოკრატიული რეჟიმი მომავლისათვის ამ სახელმწიფოებს და განსაკუთრებით საქართველოს? აი ის მთავარი საკითხები, რომლის პასუხის გაცემას ჩვენ შევეცდებით ამ შრომაში.

ომის შემდეგი ევროპა საცდელი მინდორია დემოკრატიისათვის, და რამდენადაც ევროპის სახელმწიფოები დამძიმებულნი არიან საშინაო თუ საგარეო, ეკონომიურ სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების სირთულით, იმდენად მძიმეა და სახიფათო ის გამოცდა, რომლის ჩაბარებაც ისტორიამ დემოკრატიას მოსთხოვა.

დემოკრატიზმი და მისი მთავარი პრინციპები

> დემოკრატია ხალხის სუვერენობაა. დემოკრატიზმის ორი მთავარი პრინციპი: თავისუფლება და თანასწორობა. ამ პრინციპთა სხვა და სხვა გვარი დაფასება ანგლო-საქსონთა და ლათინურ დემოკრატთა მიერ. დემოკრატია სახელმწიფო მმართველობის სხვა და სხვა ფორმებში.

დემოკრატია საერთო გაგბით ხალხის ბატონობას, ხალხის თვითმართველობას ნიშნავს. ხალხი, როგორც მთლიანი ერთეული არის სუვერენი, თავის თავის მმართველი, ყოველი უფლება მისგან გამომდინარეობს. კერძო პიროვნება, რომელთაგანაც ხალხი შესდგება, არის სუვერენი, თავისუფალი, თვითმართველი. კერძო ადამიანთა ამ სუვერენული ხასიათის ატრიბუტთა საერთო ჯამი წარმოადგენს ხალხის, ერის სუვერენობას, მის თვითბატონობას. აი ის საერთო დებულება, რომლითაც დემოკრატია დაუპირისპირდა ტირანიას ე. ი. ერთი პიროვნების ხალხზედ ძალისა და ტერორის საშუალებით ბატონობას, აბსოლუტურ მონარქიას, „უფლებრივად ღვთისაგან გამომდინარეს და შეუზღუდველ ბატონს“. არისტოკრატიას — ხალხის ერთი რჩეული უმცირესი ნაწილის მმართველობასა და ბატონობას.

დემოკრატიის ორი მთავარი დასაყრდენი პრინციპია: თავისუფლება და თანასწორობა. ადამიანი ე.ი. მო-

ქალაქე თავისუფალია და თანასწორი სხვა თავისუფალ მოქალაქესთან. დემოკრატიზმის ამ ორ მთავარ პრინციპს ჩვენ ცალცალკე განვიხილავთ ქვემოდ, აქ კი მცირედი და საჭირო განმარტებით დავკმაყოფილდებით. ამ ორი მთავარი პრინციპის შესახებ სხვა და სხვა შეხედულება არსებობს დემოკრატთა შორის. ანგლო-საქსონთა დემოკრატებისათვის ამ ორ პრინციპთაგან უმთავრესია თავისუფლების პრინციპი. მათთვის დემოკრატია განსაკუთრებით თავისუფლების რეჟიმია. მათი ყურადღების ცენტრია ადამიანის თავისუფლება, მისი კერძო ინიციატივა; ამათი დაცვა და უზრუნველყოფა არის მათი ზრუნვის უმთავრესი საგანი. ეგრედ წოდებული ლათინური დემოკრატიისათვის კი უმთავრესია ადამიანთა თანასწორობის პრინციპი და ამ პრინციპის დაცვა მათი ზრუნვის უპირველესი საგანია*). მიუხედავად ამისა დიდი რევოლუციით განახლებული საფრანგეთის მესამე წოდების ყურადღების ცენტრში პიროვნების თავისუფლების პრინციპი სდგას. მათთვის მეორე ხარისხოვანია მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც განისაზღვრება მოქალაქეთა მორალური და უფლებრივი თანასწორობით კანონის წინაშე. ამგვარად გაგებულ თანასწორობის პრინციპის დანიშნულებაა, ადამიანის თავისუფლებისა და კერძო

---

*) ანგლო-საქსონთათვის სიტყვა დემოკრატია ნიშნავს პიროვნებისა და მისი ნებისყოფის განვითარებას.

ლათინთათვის იგივე სიტყვა დემოკრატია ნიშნავს პიროვნების ნებისყოფისა და ინიციატივის შესუსტებას, წაშლას სახელმწიფოს სასარგებლოდ. სახლმწიფოს ვალდებულებაა ყველაფრის ცნტრალიზაცია, ყველაფრის ხელმძღვანელობა.

ინიციატივის გაშლა-განვითარება. ლათინური დემოკრატიის უკიდურესი ფორმა ეგრედ წოდებული სოციალისტური დემოკრატიაა. ამ უკანასკნელის ყურადღების ცენტრში სდგას მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი. მისთვის ეს პრინციპი არ გულისხმობს მხოლოდ მოქალაქეთა მორალურსა და უფლებრივ თანასწორობას კანონის წინაშე, არამედ მოქალაქეთა ქონებრივსა და მატერიალურს თანასწორობას, ურომლისოდაც მათი მატერიალისტური გაგებით შეუძლებელია მოქალაქეთა უფლებრივი თანასწორობა.

პრაქტიკასა და რეალობაში დემოკრატიას არა აქვს საკუთარი, განკერძოებული სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა, როგორც ამას ბუნებრივად და ლოგიკურად უნდა მოითხოვდეს მისი მთავარი იდეები და პრინციპები. არიან ქვეყნები, სადაც დემოკრატია რესპუბლიკანურ ფორმებში თავსდება და ნხორციელდება. არიან ქვეყნები, სადაც დემოკრატია კონსტიტუციონალურ მონარქიასა და მეფის მმართველობაში თავსდება. დემოკრატიის მკვლევართაგან თვით დემოკრატიის მომხრენიც კი ხშირად უპირატესობას არ ანიჭებენ მმართველობის რესპუბლიკანურ ფორმას. არიან ისეთებიც, რომელნიც მეფისა და მონარქიულ ფორმას დემოკრატიული თვალსაზრისით უპირატესობასაც კი ანიჭებენ. ჩეხოსლოვაკიის ყოფილი პრეზიდენტი თ. მასარიკი, რომელმაც რამოდენიმე შრომა უძღვნა დემოკრატიას და მის დამცველად ითვლება, ურთი-ერთს ადარებს საფრანგეთის რესპუბლიკასა და ინგლისის ოტოკრატიულ მონარქიას და მის მიერ დასმულ საკითხზედ, თუ რომელი მათგანია მეტი დემოკრატიული, გარკვევით მონარქიული ინგლისის სასარგებლოდ უპასუხებს.

იტალიელი ცნობილი უფლების პროფესორი ორლანდო, ამავე საკითხის შესახებ შემდეგსა სწერდა: „მმართველობის რესპუბლიკანური ფორმა ყოველთვის არ არის საკმაო გარანტია დემოკრატიის პრინციპებისათვის. დემოკრატიისა და თავისუფლების კლასიკური ქვეყანა ინგლისი ყოველთვის იყო და არის მონარქიული“ო.

ბ-ნი მასარიკი შემდეგს ამბობს: — „დემოკრატიულ კონცეპციას დასაშვებად მიაჩნია კონსტიტუციონალური და შეზღუდვილი მონარქია. საფრანგეთი და ინგლისი, მათი გარეგნული ფორმების განსხვავებას რომ არ მივაქციოთ დიდი ყურადღება, ორივე არის პარლამენტარული მონარქია, ვინაიდან ორთავე ქვეყანაში ამრჩეველთა უმრავლესობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“-ო.

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში წარმოშობილი ოტორიტარული და დიქტატორული სახელმწიფოებიც კი უარს არა ჰყოფენ მთლიანად დემოკრატიასა და მის პრინციპებს და ცდილობენ დემოკრატიის ზომიერს კალაპოტში ჩაყენებას და მის შენარჩუნებას. მუსოლინი ფაშიზმს ახალ დემოკრატიად სახავს. პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა საბჭოთა რუსეთიც ოცი წლის არსებობის და დემოკრატიის ყოველივე ელემენტების განადგურების შემდეგ ახალ კონსტიტუციას იღებს და მისი დემოკრატიულობით ამაყობს. პროლეტარიატის დიქტატურასაც კი უნდათ დემოკრატია შეუფარდონ და შეუგუონ.

თავისდათავად ის ფაქტი, რომ ყველა დემოკრატი თუ არადემოკრატი, მემარცხენე თუ მემარჯვენე დიქტატორი ამ დემოკრატიას ებღაუჭება, მასთან მორიგებას ცდილობს, დიდ ღირებულებას აძლევს დემოკრატიას.

თავისუფლების პრინციპი

პიროვნების თავისუფლება. დემოკრატია თავისუფლების რეჟიმია. თავისუფლების რეჟიმი ვერ მიუდგა ყოველი ერის ბუნებას. თავისუფლების რეჟიმის დეკადანსის ნიშნები უკანასკნელ ხანებში. თავისუფლების რეჟიმის საზომი არ არის მართველობის რესპუბლიკანური თუ მონარქიული ფორმა. რესპუბლიკანური საფრანგეთის მოქალაქის თავისუფლება მოჩვენებითია და არა რეალური. პიროვნული თავისუფლების კალაპოტში ჩაყენების აუცილებლობა.

როცა დემოკრატიზმზედ ვლაპარაკობთ ჩვენ მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით ის გარკვეული რეჟიმი, რომელიც საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ წარმოშვა და დააფუძნა: „თავისუფლება - ერთობა - ძმობა“-ზედ. საფრანგეთის რევოლუციამ ხალხის სუვერენობა დაუპირისპირა აბსოლუტიზმსა და მონარქიას; მან გამოიმუშავა და საჯაროდ აღიარა ადამიანისა და მოქალაქის ბუნებრივი უფლებები. ადამიანი მიჩნეულია პოლიტიკურ „მე“თ, რომელსაც მინიჭებული აქვს პოლიტიკური სრული თავისუფლება განაგოს თავის კერძო საქმიანობასთან ერთად საზოგადოებრივი - სახელმწიფოებრივი საქმიანობაც. ეს უფლება ადამიანს ამაღლებს ზნეობრივად. მისი ძველი ღირებულება გარდაქმნილია და მისი

ამ ახალი ღირებულების გამომხატველია მისდამი ბოძებული სახელი „მოქალაქე“.

„პიროვნება თავისუფალი იბადება და მისი ყოველგვარი დამორჩილება ადამიანის ავტორიტეტისადმი ბუნების საწინააღმდეგოა“ — ამბობს ჟ. ჟ. რუსო.

პიროვნების თავისუფლება დაედო მთავარ საფუძვლად საფრანგეთის დემოკრატიულ რეჟიმს. საქვეყნოდ აღიარებულია ადამიანისათვის რწმენის, აზროვნების, წერისა და სიტყვის თავისუფლება. პიროვნება თავისუფალია და ხელგახსნილი სამეურნეო და ეკონომიურ ასპარეზზედ. ადამიანს მინიჭებული აქვს პოლიტიკური თავისუფლება, ის მონაწილეობას ღებულობს საზოგადო და სახელმწიფო მმართველობა - კანონმდებლობაში. ამგვარად ის თავისი თავის სრული პატრონია და უფალი. ის არის წყარო, საიდანაც გამომდინარეობს ყოველი უფლება, ის არის — სუვერენი.

ამგვარად ის დემოკრატიული და რესპუბლიკანური ფორმა სახელმწიფოს მართველობისა, რომლის საფუძვლის ჩაყრას საფრანგეთის ორი დიდი რევოლუცია დასჭირდა და რომლის კედლების ამოყვანასა და დამთავრებას საფრანგეთის სამი მეოთხედი საუკუნის ისტორია მოუნდა, ეყრდნობა პიროვნებას თავისუფალს და უფლებრივად სხვებთან თანასწორს; ამ ორი ძლიერი უფლებრივი იარაღით აღჭურვილი პიროვნება არის ყოველშემომქმედი ძალა ამ დემოკრატიული და რესპუბლიკანური სახელმწიფოსი. უკანასკნელი სამი მეოთხედი საუკუნის მანძილზედ რესპუბლიკანური კანონმდებლობის ზრუნვის საგანია, მოქალაქეთა პირადი თავისუფლებისა და უფლებრივი თანასწორობის დასაბუთება, მისი დაცვა, მისი განვითარება; სოციალურ - ეკონომიური თუ ადმინისტრა-

ტიულ - პოლიტიკურ დარგის კანონმდებლობა ამ მთავარი ღერძის ირგვლივ ტრიალებს. „თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა“ ის სამკუთხედი ქვაა, რომელზედაც დაფუძნებულია საფრანგეთის რესპუბლიკანური რეჟიმი.

ადამიანის თავისუფლების პრინციპი უდევს საფუძვლად ყველა იმ ქვეყნების რესპუბლიკანურსა და მონარქიულ კონსტიტუციას, რომელნიც დემოკრატიულსა და ხალხოსნურ ფორმებს ატარებს. ეს თავისუფლების პრინციპი, ამ ხალხებისა და ერების სულიერი მეობისა, ზნე და ხასიათისა, მათი ტრადიციებისა და მათი სახელმწიფოებრივი არსებული მდგომარეობათა სხვა და სხვაობასთან შესატყვისად და შესაფერად, ნაკლებად თუ მეტად ხორციელდება ამ სახელმწიფოთა რეალურსა და პრაქტიკულ ცხოვრებაში. მაგალითად შვეიცარიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში უაღრესად განვითარდა დემოკრატიისა და თავისუფლების რეჟიმი. ამ დიდი ქვეყნების სულიერი, მატერიალური და ფიზიკური ძლიერება პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლების პრინციპის ნიადაგზედ ჩაისახა და განვითარდა.

აღსანიშნავია რომ დმოკრატიისა და თავისუფლების პრინციპები ვერ გამოადგა ყველა ხალხებსა და ერებს. ამასთანავე კითხვა ისმის: გამოადგება თუ ვერა ეს პრინციპები მუდმივად იმ დიდ ერებსა და სახელმწიფობს, რომელნიც ჩვენ აქ დავასახელეთ. ისტორიულ ცხოვრებაში ცნობილია, რომ იმას რასაც დასაწყისი აქვს, უთუოდ ბოლოც აქვს. ცხოვრების ამ ულმობელ კანონს ვერ გაქცევია და ვერც მომავალში გაექცევა ვერც ერთი სახელმწიფოებრივი წყობა, ვერც ერთი რეჟიმი, ისევე

როგორც მას ვერ გაქცევია და ვერც გაექცევა ცოცხალი ფიზიკური არსება. ყოველ რეჟიმს აქვს დასაწყისი და ბოლო. დემოკრატიულმა რეჟიმმა მისი უაღრესი განვითარების წერტილს მიაღწია. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზედ და განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში არის ნიშნები, რომელნიც მისი დეკადანსის სიმპტომებად შეიძლება იქნან მიჩნეულნი. ადამიანის გაუმაძღარი, დაუკმაყოფილებელი ბუნება, მისი შეუჩერებელი და სწრაფი ლტოლვა განუსაზღვრელი თავისუფლებისადმი, დემოკრატიის პრინციპების უზომოდ და ბოროტად გამოყენება ანგრევს ზოგი დემოკრატიული ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და დიდ ხიფათს უმზადებს მათ მომავალს, თუ მისმა ხელმძღვანელმა ძალებმა ვერ შესძლეს მისი ამ საზღვარზედ შეჩერება და მისი ნორმალურ, ზომიერ და გონიერ კალაპოტში ჩაყენება.

დემოკრატიის ამ მოსალოდნელს ხიფათს ვერ ამჩნევენ მისი თეორეტიკოსები, გატაცებულნი ადამიანისადმი კეთილი სურვილებით. ხოლო დემოკრატიის პრაქტიკოსები, ისინი ვინც სახელმწიფო ცხოვრებას წინ უძღვიან, რომელთაც ბედმა არგუნა დემოკრატიული პრინციპების ცხოვრებაში განხორციელება, და ამით უდიდესი და უმძიმესი პასუხისმგებლობაც, მეტის სიფრთხილით და სიდინჯით იქცევიან. ჩვენ ქვემოდ მოვიყვანთ ამ პრაქტიკოს სახელმწიფო მოღვაწეთა აზრებს აქ აღძრული საკითხის შესახებ. აქ მხოლოდ ერთით დავკმაყოფილდებით: „დემოკრატია არ არის ანარქია, არამედ პირიქით, დემოკრატია არის წესრიგი და მისთვის ყველაზედ უფრო საჭიროა ზომიერება და დისციპლინა“. — სთქვა საფრანგეთის დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ რ. პუანკარემ და

მისი ეს აზრი უთუოდ ხანგრძლივი და დარბაისელი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგი იყო.

პუანკარეს მახვილ გონებას არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ რაციონალიზმის ნიადაგზე განვითარებულმა თავისუფლების რეჟიმმა იმ ანარქიულ ინდივიდუალიზმამდე მიაღწია, სადაც ადამიანს ყოველი უფლება აქვს, სახელმწიფოს კი მხოლოდ მოვალეობანი ადამიანისადმი და რომ პიროვნების ასეთს თავაშვებულ თავისუფლებაზედ აღარ შეიძლებოდა სახელმწიფოებრივი არსებობის განვითარება და წინსვლა.

პიროვნების თავისუფლება ჭეშმარიტად მეტად საჭირო და აუცილებელი პირობაა სახლმწიფოს ნორმალური განვითარებისათვის, მაგრამ იმისათვის რომ მან საჭირო და სასარგებლო ნაყოფი გამოიღოს და პირიქით ხელი არ შეუშალოს სახელმწიფოს განვითარებას, აუცილებელია მისი განსაზღვრა, მისი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება; ამგვარად საზღვარ დადებული და კალაპოტში ჩაყენებული თავისუფლება მართლაც საჭიროა და სასარგებლო სახლმწიფოსათვის. მონტესკიეს აზრით პიროვნების თავისუფლება არის პიროვნების ის უფლებები, რომელნიც გარკვეულნი და განსაზღვრულნი არიან სახელმწიფოს უფლების მიერ. იტალიელი ორლანდოს აზრით, პერსონალური თავისუფლება არის მოქალაქეობრივი თავისუფლება სახელმწიფო კანონმდებლობის მიერ ადამიანის უფლებად მიჩნეული და აღიარებული.

„კარგი მოქალაქე დემოკრატიულ სახელმწიფოში — ამბობს ფილოსოფიის პროფესორი ფრანგი ჟ. ჟირო — ის კი არ არის, ვინც მისი პირადი თავისუფლების ბურუსი გრძნობებით არის მთვრალი და ამხედრებული ყოველივე ავტორიტეტის წინააღმდეგ, არამედ, ვინც იცის სა-

კუთარი თავისუფლების განსაზღვრა გონივრულად, პატივისცემა სხვისი თავისუფლებისა და მორჩილება კანონთა“-ო.

ამგვარად სახელმწიფო თვით უნდა აღიარებდეს პიროვნების თავისუფლებას, სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა თვით უნდა არკვევდეს და აღნუსხავდეს ამ თავისუფლების ფარგლებს; ადამიანის თავისუფლება საჭიროებს კონსტიტუციონალურ გარანტიას; ადამიანის თავისუფლების ბუნებრივი საზღვარი იქ თავდება, საიდანაც იწყება საერთო, ღენერალური ხასიათის კანონები, რომელნიც განსაზღვრავენ და აწესრიგებენ პიროვნებისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას. ამგვარად, კანონმდებლობითვე განსაზღვრული თავისუფლება ჰქმნის პიროვნებისა და სახელმწიფოს შორის იმ თანხმობასა და ჰარმონიას, რომელიც აუცილებელი პორობაა სახელმწიფოს აღორძინება - გაძლიერებისათვის. და აქედან თავისდათავად გამომდინარეობს სახელმწიფოს დასაყრდენ ატომთა, ადამიანთა კეთილ-დღეობა და ბედნიერება. თუ მივიღებთ იმ დებულებას, რომ ადამიანის მიზანი არის მისი კეთილდღეობა და თავისუფლება კი ამის საშუალებაა; თუ იმ ჭეშმარიტებასაც მივიღებთ, რომ ადამიანის კეთილდღეობის წყარო სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური სიძლიერე და კეთილდღეობაა, სრულიად ბუნებრივია და უდავო ადამიანის მიერვე მისი თავისუფლების მეტად გაშლილი ფრთების შეკვეცა სახელმწიფოს სასარგებლოდ. მეტად ფრთებ გაშლილი თავისუფლება ისევე ვერ იძლვა სასარგებლო ნაყოფს, როგორც ყლორტებ შეუკვეცელი ვაზი.

დიდი დემოკრატიული ქვეყნებიდან ყველაზედ ნაკლებ ინგლისი განიცდის იმ მსოფლიო კრიზისს, რომელ-

საც დემოკრატიის კრიზისს ეძახიან. ეს უთუოდ იმიტომაც არის, რომ ინგლისელებმა შესძლეს თავისუფლების პრინციპის ზომიერსა და გონიერს კალაპოტში ჩაყენება, პიროვნებისა და სახელმწიფოს შორის სრული ჰარმონიის დამყარება. ინგლისელების ბუნება სხვა ხალხებზედ უფრო შესაფერი და მისადგომი აღმოჩნდა დემოკრატიის პრინციპებისათვის, ინგლისელის ზომიერება და გონიერება ამყარებს იმ შიდა-ბუნებრივ დისციპლინას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თავისუფლების რეჟიმის ხანგრძლივი არსებობა.

ინგლისს დაწერილი კონსტიტუცია არა აქვს და არც პიროვნული თავისუფლება არის წერილობითი კონსტიტუციის საგანი. ინგლისის «Habeas-Corpus» ინდივიდუალური თავისუფლება უძევს საფუძვლად. გარდა ამისა მთელი მისი ხანგრძლივი ბრწყინვალე ისტორიის მანძილზედ პიროვნების თავისუფლების იდეას პირველი ადგილი უჭირავს; პიროვნულსა და საზოგადოებრივ აზრს პატივი აქვს და გაგონება; საზოგადოებრივ კრებებს, რომელნიც სახელმწიფო წესრიგის ფარგლებში თავსდება, ღირსეული ადგილი უჭირავს. თითქმის ყველა რადიკალური რეფორმები პარლამენტში წარდგენამდე კრებებზედ და მიტინგებზედ ისახება და მზადდება. პრესა თავისუფალია და უცენზურო, მაგრამ თუ ამ თავისუფლბის ბოროტად გამოყენება ვინმემ მოინდომა, სახელმწიფო სასტიკს ზომებს მიმართავს თავაშვებული პრესის კალაპოტში ჩასაყენებლად, მიუხედავად იმისა რომ წერილობითი კანონის სახით ცენზურა არ არსებობს. ყველასათვის ცნობილია, რომ ინგლისის ლიბერალების ზრუნვის მთავარი საგანი იყო და არის პიროვნული თავისუფლების დაცვა და გაფართოვება. მიუხედავად ამისა, როცა

ისინი მთავრობის სათავეში მოექცევიან და პარლამენტის ადგილთა უმრავლესობას ხელთ იგდებენ, თვითვე ზღუდავენ თავაშვებულ პიროვნულ თავისუფლებას სახელმწიფოს სასარგებლოდ. ინგლისელებს ყველა ხალხებზედ უკეთ ესმით, რომ სოციალური ორგანიზმის — სახელმწიფოს განვითარება გაუმჯობესება თანდათანობით მოითხოვს პიროვნული თავისუფლების შემცირებას და თუ ამას ისინი ნებაყოფლობით არ დასთანხმდებიან შეიძლება მთლად დაჰკარგონ თავისუფლებისა და დემოკრატიის რეჟიმი. ინგლისელის ასეთი შეგნება და ამ საკითხის გაგება საუკეთესოდ გამოხატა ინგლისელმა სოციოლოგმა სპენსერმა, რომელმაც სიტყვა სიტყვით შემდეგი სთქვა:

„თუ შესაფერი წინასწარი ზომები არ იქნა მიღებული, პიროვნების მოჩვენებითი თავისუფლების ზრდას უთუოდ მოჰყვება, პიროვნების არსებითი და რეალური თავისუფლების შემცირება“-ო.

სპენსერის ეს ღირსშესანიშნავი გაფრთხილება ცარიელ სიტყვად არ დარჩენილა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში და იქ მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა სახელმძღვანელოდ გაიხადეს. როცა სხვა ქვეყნებისა და განსაკუთრებით საფრანგეთის თავისუფლების რეჟიმს შევეხებით, პოლიტიკური ცხოვრების ცოცხალი მაგალითებით დასაბუთდება სპენსერის მიერ თავისუფლების შესახებ გამოთქმული ეს მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი სიტყვები. ჯერ კი ისევ ინგლისის დემოკრატიასვე დაუბრუნდეთ; ეროვნული ხალხოსნური სუვერენობა, რომელიც შესამჩნევად არის განხორციელებული ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიდ სამსახურს უწევს ინგლისის სახელმწიფოს. ამ ხალხოსნურ სუვერენობაში გამო-

ხატულს სწორსა და საღ ინსტიქტს ბევრჯერ გადაურჩენია ინგლისის სახელმწიფო და ამ უკანასკნელ წლებში მანვე გადაარჩინა საუკუნოებრივ ტრადიციებზედ დაფუძნებული სამეფო ტახტიც. ერის ნებისყოფის წინაშე ქედი მოიხარა მისმა მეფემ, სამაგიეროდ, ჩვენის აზრით, საუკუნოებრივ ეროვნულ ტრადიციებზედ დაფუძნებული ტახტიც დიდ სამსახურს უწევს ინგლისის დემოკრატიულსა და თავისუფლების რეჟიმს და თავისი უმაღლესი „ვეტო"-ს უფლებით ხშირად აცდენს ამ რეჟიმს სახიფათო გზას.

თავისუფლების საზომი არ არის მართველობის რესპუბლიკანური თუ მონარქიული ფორმა, არამედ ის შეზღუდვანი, რომელთაც კანონმდებლობა აწესებს მოქალაქეთა მიმართ. ამ მხრივ მონარქიული ინგლისის თავისუფლების რეჟიმი უფრო რეალური და არსებითი თავისუფლების რეჟიმია, ვინემ ზოგი რესპუბლიკანური ქვეყნების თავისუფლების რეჟიმი.

მეორე დიდი ქვეყანა, რომელიც თავისუფლების რეჟიმის წარმომადგენელად ითვლება რესპუბლიკანური საფრანგეთია. მიუხედავად რესპუბლიკანური რეჟიმის სამი მეოთხედი საუკუნის არსებობისა, დემოკრატიული და თავისუფლების რეჟიმი აქ ჯერაც ვერ დაფუძნდა, ვერ დამყარდა. რამდენად თავისუფლებას დიდი ადგილი უჭირავს კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში, ამდენადვე ნაკლები ადგილი უჭირავს მას საფრანგეთის საზოგადოებრივ სინამდვილეში. გარეგნული შეხედვით ფრანგი თითქოს უაღრესად თავისუფალია, მაგრამ როცა ცხოვრების სინამდვილეს დააკვირდებით, მისი თავისუფლება მოჩვენებითია და ის ინგლისელზედ ბევრად უფრო ნაკლებად თავისუფალია. ამ რამოდენიმე წლის წინ ფრან-

გმა ისტორიკოსმა დანიელ ჰალევიმ საგანგებო შრომა უძღვნა თავისუფლების საკითხს საფრანგეთში, სათაურით: „Décadence de la liberté“. მან ამ შრომაში დეტალურად განიხილა საფრანგეთის სოციალური ცხოვრება, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა და ასე დაასკვნა: „ჩვენ თანდათან დავკარგეთ თავისუფლებანი, ისე რომ ვერც კი შევამჩნიეთ და დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური რეჟიმი ატარებს მონობის გაცილებით მეტ ელემენტებს, ვინემ სხვა რომელიმე რეჟიმი“-ო.

ასეთ დასკვნამდე მიდის საფრანგეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მრავალჯერ მთავრობის თავმჯდომარე ანდრე ტარდიეც, რომლის დასკვნები დაფუძნებულნი არიან მის მიერ უამრავ პრაქტიკულ დაკვირვებებზედ და ფაქტიურ მასალებზედ ათეული წლების განმავლობაში რომ დააგროვა. კლემანსოსი და პუანკარეს მოწაფე ან. ტარდიე, უამრავი ფაქტიური მასალით აღჭურვილი, ეუბნება საფრანგეთის მოქალაქეს, რომ მან დაჰკარგა პიროვნული თავისუფლების უდიდესი ნაწილი და სრულიად დაჰკარგავს მას თუ მოჩვნებითი თავისუფლების ზდევას თავი არ დაანება და რესპუბლიკანური რეჟიმის სათანადო შესწორებით არ დაიცვა თავისი არსებითი და რეალური თავისუფლებაო.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს თავისუფლების შესახებ. თავისუფლება აუცილებელი პირობაა ადამიანის სულიერი და გონებრივი ძალთა გაშლა - განვითარებისათვის, რომელიც ჰქმნის საზოგადოებისა და ხალხის კეთილდღეობას. არათავისუფალი და მონა ვერ შეჰქმნის იმ უდიდეს სულიერსა და მატერიალურ დოვლათს, ურომლისოდაც კაცობრიობის ცხოვრება წინ ვერ წავა. ჩვენმა დიდმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ „თა-

ვისუფლება კაცთა ნავთსაყუდრად“ გამოაცხადა და ამით საუკეთესოდ განსაზღვრა თავისუფლების რაობა, მისი მნიშვნელობა. ჩვენ პოეტის ეს სიტყვები ასე გვესმის: თავისუფლება უნდა იყოს მსოფლიო ღელვის დროს ეროვნული სახელმწიფო გემის ნავთსაყუდარი, და არა ის აბობოქრებული მღელვარე ტალღები, რომელნიც სახელმწიფო გემს ერთი მეორეზედ ეხეთქებიან და დაღუპვას უქადიან.

ასეთი მღელვარე ტალღების როლს ასრულებს დღევანდელ დემოკრატიულ რეჟიმში პიროვნების თავისუფლება. და ეს აუცილებელი პირობა ადამიანის სულიერი და მატერიალური წინსვლისა და ამით სახელმწიფოს აღმატება - სიძლიერისა, ბუნებრივსა და გონიერ საზღვარს გადაცილებული, ხდება იმ საშინელ მავნებელ ძალად, რომელიც დანგრევით ემუქრება თვით ადამიანის კეთილდღეობის წყაროს, სახელმწიფოს. აქედან იბადება საჭიროება პიროვნული თავისუფლების განსაზღვრისა, და მისი ეროვნული და სახელმწიფო უზენაესი ინტერესებისადმი დაქვემდებარებისა. „თუ პიროვნება საზოგადოების შესაქმნელად იძულებულია მისი თავისუფლება შეიზღუდოს, ამის ასანაზღაურებლად ის მრავალს სარგებლობას ჰპოებს იმ საზოგადოებაში, რომლის წყალობითაც მისი რეალური თავისუფლების არე ფართოვდება“-ო ამბობს სპინოზა. ჩვენის აზრით უფრო გონიერია სპინოზას ამ სასარგებლო აზრის დაჯერება - გაზიარება, ვინემ ჟან ჟაკ რუსოს არასოდეს განხორციელებული უსაზღვრო თავისუფლების ფანტასტიური თეორიისა, რომელსაც თავისუფლება ბავშვისათვის დედის მუცლიდან თანდაყოლილ კუთვნილებად მიაჩნია. რა დიდ თავისუფლებას არის მიჩვეული ბავშვი დედის მუცელში, რომ ამ

თვალუწვდენელ ქვეყანაზედ მოვიდეს და თავი შეეიწ-
როებულად იგრძნოს? „ჩვენ არ ვიბადებით თავისუფა-
ლნი — ამბობს ერთი მწერალი — არამედ დაბადებისთა-
ნავე ჩვენ ვალდებულებებს ვღებულობთ უკვე მოწყობი-
ლი და აშენებული კულტურული ქვეყნის წინაშე"-ო.

ადამიანის ზრუნვის საგანი უნდა იყოს მისი სამშო-
ბლო ქვეყნის მეტი მოწყობა, მეტი აღშენება და გაძლიე-
რება და არა მისი ეგოისტური ინტერესები და დაუკმა-
ყოფილებელი სურვილი თავაშვებული და პირადი თავი-
სუფლებისადმი.

თანასწორობის პრინციპი

მორალური და უფლებრივი თანასწორობა. ეკონომიურ - მატერიალური თანასწორობა. დემოკრატიამ ადამიანთა უფლებრივი თანასწორობაც კი ვერ განახორციელა. ქონებრივი თანასწორობა უტოპიაა. დემოკრატია ;უნდა განთავისუფლდეს ამ უტოპიური აზრებისაგან.

დემოკრატიის მეორე პრინციპი არის თანასწორობა. ეს პრინციპი უფლებირივი თანასწორობისა ფეხს იდგამს მე-19 საუკუნიდან არა მარტო დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ მონარქიულ გერმანიაში, იტალიაში, ბელგიაში, ესპანეთშიც. ამ ქვეყნებშიც აღიარებენ მოქალაქეთა თანასწორობას კანონის წინაშე; ყოველი მოქალაქე ღირსი და გამოსადეგი დაშვებულია სახელმწიფოს სხვა და სხვა მაღალ ფუნქციების აღმასრულებლად. ამით არ კმაყოფილდებოდნენ და მოითხოვდნენ საყოველთაო არჩევნების უფლებას და ზოგან ამასაც კი მიაღწიეს.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნიდან კლასიკური ხანის ფილოსოფოსები აღიარებდნენ ყოველ:გვარი უთანასწორობათა უსამართლობას. 1789 წ. საფრანგეთის რევოლუციონერები მოითხოვდენ მოქალაქეთა უფლებრივ თანასწორობას და 1796 წელს სოციალურ თანასწორობასაც კი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანგლო - საქსონური

ქვეყნების დემოკრატები მორალური და უფლებრივი თანასწორობის დამყარებას მოითხოვდნენ დემოკრატიული რეჟიმისაგან. საფრანგეთში ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარციაც არა სცილდება პიროვნების ასეთი თანასწორობის ფარგლებს: ის აღიარებს მოქალაქეთა თანასწორობას კანონისა და სასამართლოს წინაშე; პიროვნებათა თანასწორუფლებიანობას სამოქალაქო და პოლიტიკურ სფეროში. ასეთი უფლებრივი გათანასწორება აუქმებდა ძველ წოდებრივ პრივილეგიებს და ერთგვარს უფლებრივ პირობებში აყენებდა ყველა წრისა და წოდების ადამიანს. ყოველ მათგანისათვის იშლებოდა თავისუფალი ასპარეზი ცხოვრების ყოველ დარგში, იყო ეს სულიერი თუ მატერიალური, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიურ - სამეურნეო. ყოველ მოქალაქეს უფლება ენიჭებოდა მისი ნიჭისა და უნარის შესაფერი ადგილი დაეჭირა საზოგადოებრივსა და სახელმწიფო ასპარეზზე. როგორც ვხედავთ საფრანგეთის რევოლუციამ და მესამე წოდებამ, ბურჟუაზიამ გარკვეულად დააყენა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის საკითხი. მაგრამ ბევრი არ დაკმაყოფილდა ასეთი მორალური და უფლებრივი თანასწორობით და მოქალაქეთა მატერიალური და ეკონომიური თანასწორობა მოსთხოვა დემოკრატიულ რეჟიმს.

„მატერიალურ ქონებათა დიდი უთანასწორობა არის წყარო პოლიტიკურ უთანასწორობათა და ასეთ პირობებში არ შეიძლება არსებობდეს თავისუფლება. კანონმდებლობის ზრუნვის საგანი უნდა იყოს ამ მატერიალურ უთანასწორობათა თანდათანი გაუქმება“-ო — ამბობდა რობესპიერი საფრანგეთის დამფუძნებელ ყრილობაზედ. აქვე გაკვრით აღვნიშნავ, რომ ამ მატერიალურ - ქონე-

ბრივ უთანასწორობის შემცირებას ქადაგებენ და ანხორციელებენ დღეს იტალიის ფაშისტებიც. სოციალისტები და განსაკუთრებით მარქსისტული სოციალისტები, ისტორიული მატერიალიზმის მიმდევარნი უფრო გარკვევითა და პირველ რიგში აყენებენ ადამიანთა მატერიალურ - ქონებრივი თანასწორობის საკითხს, ურომლისოდაც მათის აზრით არ შეიძლება არსებობდეს ადამიანთა მორალური და უფლებრივი თანასწორობა და არც თავისუფლება. „მოქალაქეთა ეკონომიური თანასწორობაა, ის აუცილებელი ფარგლები, რომელშიაც ადამიანს შეუძლია თავისუფალი მოქმედება“-ო ამბობს საქ. სოც. დემ. პარტიის ლიდერი ბ. ნოე ჟორდანია მის ფრანგულ გამოცემაში „დიფიკულტე სოსიალისტ“.

ჯერ განვიხილოთ თუ რამდენად განხორციელდა ამ თანასწორობის მინიმუმი, ე.ი. მორალური, უფლებრივი და პოლიტიკური თანასწორობა. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ რესპუბლიკანური საფრანგეთი, რომლის კონსტიტუციას ერთ-ერთ საფუძვლად დაედო მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი. ამ დემოკრატიულ ქვეყანაში, მოსახლეობის ნახევარი — დედათა სქესი მოკლებულია არა მარტო პოლიტიკურსა და არჩევნების უფლებებს, არამედ მათ არა აქვთ მრავალი ადმინისტრატიული და სოციალური უფლებებიც. პოლიტიკური უფლებების მხრივ ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება მოსახლეობის მამრობითი სქესის ის ნაწილი რომელიც სამხედრო სამსახურშია. ასევე შეკვეცილია პოლიტიკური უფლებები მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც სასულიერო წოდება ჰქვია. შორს წაგვიყვანდა მრავალი ასეთი წვრილი მაგალითების აღნუსხვა; მოუსმინოთ იმ სახელმწიფო კაცს, რომელმაც თავისი დასკვნები ცხოვრე-

ბის მნიშვნელოვანსა და ფაქტიურს მაგალითებზედ დაამყარა. ყოფილი პრემიერი ანდრე ტარდიე შემდეგსა სწერს: „საფრანგეთის მოქალაქენი არ არიან თანასწორნი, არც საარჩევნო ყუთის წინ, არც კანონისა და სასამართლოს წინაშე, არც სახელმწიფო თანამდებობების მიმართ, არც გადასახადების მიმართ, არც სამხედრო მოვალეობის მიმართ და არც ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში. საფრანგეთში არ არსებობს არც პოლიტიკური თანასწორობა, არც მოქალაქეობრივი თანასწორობა, და არც სოციალური თანასწორობა“.

ტარდიეს ასეთი რადიკალური დასკვნები მით უფრო მნიშვნელოვანია და დამაფიქრებელი, რომ ის არ ეკუთვნოდა და არც დღეს ეკუთვნის რესპუბლიკისა და დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა წრეს, არამედ პირიქით, და რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში მრავალჯერ იყო რესპუბლიკანური მთავრობების მინისტრი და რამოდენიმეჯერ მთავრობის თავმჯდომარე. „ჩვენი დემოკრატია, უარჰყო რა ის იდეები, რომელნიც მას საფუძვლად დაედო, უთუოდ საბოლოოდ მოჰკლავს ამ იდეებს“-ო — ამბობს იგივე ტარდიე.

აშკარაა, რომ დემოკრატიამ ვერ განახორციელა არამც თუ მატერიალური თანასწორობა, რომელსაც სოციალისტური წრეები მოითხოვდნენ, არამედ ის მორალურ-უფლებრივი და პოლიტიკური თანასწორობაც, რომელსაც ცხოვრების სინამდვილესთან უფრო ახლო მყოფი ბურჟუაზიული და ლიბერალური წრეები მოსთხოვდნენ მას. „სანამ ადამიანი ადამიანადა და საზოგადოება საზოგადოებად დარჩება, მანამდე ადამიანთა თანასწორობა სიზმრის საგნადვე დარჩება“ ო. „უთანასწორობაა

ის, რაზედაც დამყარებულია სოციალური წესი, და მისი მოსპობა შეუძლებელია“-ო — ამბობს ოტო ამმონი.

მართლაც, თუ ადამიანი საერთოდ ცხოვრების სინამდვილეს ღრმად დაუკვირდები რეალური გონების თვალით და არა გაუმაძღარი სურვილებისა და ნდომის თვალით, დარწმუნდები, რომ შეუძლებელია ადამიანთა თანასწორობისა და განსაკუთრებით მატერიალური თანასწორობის სრული დამყარება და შესაძლებელიც რომ იყოს მიუღებელია და საზიანოც. რომ ეს ასე არ იყოს საფრანგეთის რევოლუციის ხელმძღვანელები, რომელთაც თანასწორობის ქადაგით დაანგრიეს უთანასწორობაზედ დამყარებული ძველი რეჟიმი და მათი მემკვიდრენი, რომელნიც 70 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, დაამყარებდნენ თანასწორობას. მათ საამისოდ სურვილიცა და შესაძლებლობაც საკმაოდ მოეპოებოდათ. რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელებსაც ძველი რეჟიმის დასანგრევად საუკეთესო იარაღად გამოადგათ თანასწორობის პრინციპი, რომელიც უვარგისი აღმოჩნდა ამ ნანგრევებზედ ახალი რეჟიმის დასამყარებლად. საბჭოთა რუსეთის სოციალური ცხოვრება უთანასწორობაზედ დაამყარეს. არც მათ აკლდათ საამისო სურვილი და შესაძლებლობანი. ვფიქრობთ, ამ განუხორციელებელ ფანტაზიას ადამიანმა თავი უნდა დაანებოს და დაკმაყოფილდეს უფლებრივი თანასწორობით, რომლის წყალობითაც ადამიანს შეუძლია, ზომიერი თავისუფლების რეჟიმში, თავისი ნიჭისა, გონებისა და უნარის გაშლა განვითარება სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზედ. ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ ადამიანთა თანასწორობა კანონის წინაშე სრულიადაც არ ნიშნავს ყველას თანასწორობას საზოგადოებაში.

„დემოკრატიას საფუძვლად უდევს ადამიანთა თანასწორობა კანონის წინაშე და მათი თავისუფალი კონკურენცია. დემოკრატია არსებითად არის რეჟიმი, რომელიც ჰქმნის ყველაზედ მეტს სოციალურს უთანასწორობას", ამბობს ფრანგი სოციოლოგი გ. ლებონი. მართლაც თანასწორ უფლებით აღჭურვილ პიროვნებათა თავისუფალი კონკურენცია ცხოვრების ყოველ დარგში იწვევს ნიჭით, გონებით და უნარით დაჯილდოვებულ პიროვნებათა წინსვლას, დაწინაურებას; ნიჭითა და გონებით სუსტნი და უნარს მოკლებულნი ვერ მისდევენ მათ და ჩამორჩებიან. როგორ შეიძლება მათი გათანასწორება, ერთ ხაზზედ დაყენება? ნიჭსა და უნარს რომ წინსვლის გზა დაეხშოს რას დაემსგავსებოდა სოციალური საზოგადოებრივი ცხოვრება, მოკლებული წინსვლასა და პროგრესს.

ზედმეტია შევჩერდეთ და დრო დავკარგოთ იმ უსაფუძვლო ფანტაზიაზედ, რომელსაც მოქალაქეთა ქონებრივი თანასწორობა ეწოდება და რომლის განხორციელებასაც ოცნების ქვეყნიდან მოსული სოციალისტები მოსთხოვენ დემოკრატიას. ქონება უმეტეს შემთხვევაში ნაყოფია ადამიანის გონებისა თუ ფიზიკური შრომისა და მომჭირნეობისა. ეინაიდან ამ მხრივ ადამიანები უთანასწორონი არიან, ცხადია და ბუნებრივიც, რომ მათი გონებისა და შრომის ნაყოფიც უთანასწორო იქნება. ქონებრივი თანასწორობის დამყარება სოციალისტბზედ უფრო წინწასულმა კომუნისტებმაც კი ვერ შესძლეს რუსეთის ფარგლებში.

თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპთა შეურიგებლობა

> თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპთა შეუთავსებლობა აავადებს დემოკრატიას. შეუძლებელია ამ ორი პრინციპის საბოლოო მორიგება. დემოკრატიამ ამ ორ პრინციპთა შორის არჩევანი უნდა მოახდინოს. თავისუფლების პრინციპის უპირატესობა.

დემოკრატიის ეს ორი პრინციპი: თავისუფლებისა და თანასწორობისა ვერ თავსდებიან ერთსა და იმავე რეჟიმში, მათ შორის ბუნებრივი და დაუსრულებელი ოპოზიციაა; თავისუფლება ვერ იგუებს და სპობს თანასწორობას; ასევე თანასწორობა ვერ იგუებს და სპობს თავისუფლებას. იქ სადაც თავისუფლებაა არ შეიძლება თანასწორობა იყოს, და სადაც თანასწორობაა თავისუფლებას ადგილი არა აქვს. დემოკრატიის ამ ორ მთავარ პრინციპთა შეურიგებელი წინააღმდეგობა აავადებს და ასუსტებს დემოკრატიას. დემოკრატიის მომხრეთათვის დგება არჩევანი ამ ორ მოურიგებელ პრინციპთა შორის. ინგლისის დემოკრატიამ ეს არჩევანი თავიდგანვე მოახდინა, მისთვის მთავარია თავისუფლება, რომელსაც ანაცვალა თანასწორობის პრინციპი. აშკარად, ამითაც აიხსნება ინგლისის დემოკრატიული რეჟიმის მეტი ჯანმრთელობა. ინგლისის და მაგვარი არჩევანი უნდა მოახდინოს

ყველამ, ვისაც საჭიროდ მიაჩნია დემოკრატიული თავისუფლების რეჟიმის შენარჩუნება.

ჩვენთვის საყურადღებოა თუ რას ფიქრობს ამ არჩევანის შესახებ ბ-ნი ნ. ჟორდანია. ის მის ფრანგულ გამოცემაში — დიფიკულტე სოსიალისტ — შემდეგსა სწერს: „თავისუფლება ჰქმნის მატერიალურ უთანასწორობას მოქალაქეთა შორის. ერთს მეორეს უმორჩილებს ეკონომიურად. ასეთს პირობებში ხალხი აღარ არის დაინტერესებული დემოკრატიის დაცვა - შენარჩუნებაში. სუვერენობა იძირება, თავისუფლება სპობს დემოკრატიას. აქედან ცხადია, რომ ყოველი ხარისხის თავისუფლება არ წარმოადგენს დემოკრატიის აუცილებელს დასაყრდენს, არამედ თავისუფლება განსაზღვრული მოქალაქისა და ხალხის ინტერესებით. მოქალაქეთა ეკონომიური თანასწორობაა, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის თავისუფლებას. დემოკრატიის პრინციპია თავისუფლება და თანასწორობა; უნდა მოხდეს ამ ორი პრინციპის იმგვარი მორიგება, რომ ერთმა მეორე არ მოსპოს და დემოკრატია არ გააუქმოს“-ო. „დემოკრატიის პოლიტიკური პრინციპია თავისუფლება და სოციალური თანასწორობა. მუდმივი ბრძოლა სწარმოებს ამ ორ პრინციპთა შორის. რამდენად მეტია საზოგადოებაში მდიდართა გავლენა, იმდენად მეტია თავისუფლება და ნაკლებია თანასწორობა; რამდენად დიდია საზოგადოებაში ღარიბთა გავლენა, იმდენად მეტია თანასწორობა, და ნაკლებია თავისუფლება“-ო.

ბ-ნი ჟორდანია ვერ ახდენს არჩევანს ამ ორი მდგომარეობის შორის და განაგრძობს: „დემოკრატია, უწინარეს თავისუფლებისა და თანასწორობისა“-ო. „მაშასადამე ეს ორი პრინციპი არ ყოფილა დემოკრატიის დამახა-

სიათებელი ატრიბუტები“-ო. „შემცირება, შეზღუდვა პიროვნების თავისუფლებისა ეკონომიურსა და პოლიტიკურს სფეროში ხალხის სუვერენიტეტის დასაცავად, აი, დემოკრატიის არსებითი პოლიტიკა“-ო — ამთავრებს ბ-ნი ჟორდანია.

ბ. ჟორდანიას ამ უკანასკნელ დებულებას ურეზერვოდ შეგვიძლიან დავეთანხმოთ, ვინაიდან ამას ჩვენც დიდი ხნიდან ვქადაგებდით. დემოკრატიისათვის მთავარი არის ხალხის სუვერენობა. ცხადია ეს ფორმულა ბ-ნ ჟორდანიას სხვაგვარად ესმის, ჩვენ კი ისე გვესმის, რომ ხალხის ნება-სურვილი არის მთავარი და მბრძანებელი. ამისათვის არ არის აუცილებელი რომ მართველობა ხალხოსნური იყოს, თვით ანხორციელებდეს თავის ნება - სურვილს, არახალხოსნური მმართველობისათვისაც სავალდებულოა ხალხის ნება სურვილისათვის ანგარიშის გაწევა, მისი განხორციელება შესაძლებლობის ფარგლებში. და ხშირად ასეთი მმართველობა უფრო კარგადაც ანხორციელებს ხალხის ნება - სურვილებს. რაც შეეხება ბ. ჟორდანიას ცდას დემოკრატიის ორი პრინციპის: თავისუფლების და ქონებრივი თანასწორობის მორიგებისას, ეს ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ეს ვერ შესძლო ვერც ერთმა დემოკრატიულმა და ხალხოსნურმა რეჟიმმა. და ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო საერთო საზოგადოებრივი ინტერესების დაუზიანებლად, დემოკრატიის რეჟიმის კრიზისიც, რომლის არსებობას ბ-ნი ჟორდანიაც აღიარებს, ასეთი მწვავეც აღარ იქნებოდა.

ბ. ნოე ჟორდანია იოლად იღებს და ეგუება პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას ეკონომიურსა და პოლიტიკურ სფეროში, ხალხის სუვერენიტეტის დასაცავად, მაგრამ ვერ ითმენს და ვერ ეგუება თანასწორო-

ბის პრინციპის შეზღუდვას, და ეს თანასწორობის პრინ-ციპი მისთვის არის სოციალური და ქონებრივი თანასწო-რობის პრინციპი, რომელიც დემოკრატიული რეჟიმის იმდენად მკვდარი პრინციპი აღმოჩნდა, რომ ბ. ჟორდა-ნიაზედ უფრო უკიდურესმა სოციალისტებმაც კი თავი მიანებეს მას. ბ. ჟორდანიას ასეთი აზრები გასაგები გა-ხდება, თუ ჩვენ მოვიგონებთ, რომ მისთვისა და მისი პა-რტიისათვის დემოკრატია არის არა მიზანი არამედ გზა და ხიდი, იმ სოციალისტური რეჟიმის დასამყარებლად, რომლს მთავარი დასაყრდნობი პრინციპია ქონებრივი თანასწორობა, და რომლიდანაც გამორიცხულია პირო-ვნული თავისუფლება.

სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობა

> კლასიკური სკოლისათვის სახელმწიფო არის თვითმიზანი, რომანტიული სკოლისათვის კი ადამიანი არის თვითმიზანი. პირველს ეყრდნობა აბსოლუტური და ოტორიტარული სახელმწიფონი, ხოლო მეორეს ლიბერალური და დემოკრატიული სახელმწიფონი, ორთავე მიმართულებათა უკიდურესობა. საშუალო ხაზი.

პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია არა მარტო ჩვენი დროის, არამედ წარსული გრძელი ისტორიის მანძილზედ. ეს საკითხი თან დაჰყვა სახელმწიფოს დაარსებას.. მისი რადიკალური გადაჭრა ჯერაც ვერ მოუხერხებია კაცობრიობას და მომავალშიაც, ალბად, დიდი ხნით დარჩება იმ მუდმივ საკითხთა შორის, რომელთა რადიკალურსა და საბოლოოდ გადაჭრას კაცობრიობა ვერ შეესძლებს.

კერძო პიროვნებისათვის აუცილებელი საჭიროა სახელმწიფო, პირველს უმეოროდ ცხოვრება არ შეუძლია. სახელმწიფოსათვის აუცილებელი საჭიროა პიროვნება, რომელიც მისი დასაყრდენია, მისი ფუძეა; პიროვნება აძლევს სახელმწიფოს სულიერს, მატერიალურსა და ფიზიკურს დოელათსა და ძალას. სახელმწიფო კი უქმნის

პიროვნებას წესსა და რიგს, კანონმდებლობის საშუალებით აწესრიგებს ადამიანთა და საზოგადოებათა შორის ნორმალურ ურთიერთობას და საერთო ძალითა და შესაძლებლობით აწყობს ადამიანთათვის მრავალ საჭირო დაწესებულებას. თითქოს ერთის შეხედვით, არ უნდა წარმოადგენდეს დიდ სიძნელეს პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მოგვარება, მაგრამ სინამდვილეში ეს დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად მწვავე ხასიათსაც ღებულობს.

შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ორი უკიდურესი მიმართულება ამ საკითხის ირგვლივ. პირველი არის მონარქიული, რომელიც ლაპარაკობს ავტორიტეტზედ დამყარებული წესრიგის სახელით და რომლის აზრით პიროვნება შექმნილია და არსებობს სახელმწიფოსათვის. მეორე არის ეგრედ წოდებული რევოლუციონური მიმართულება, რომელიც პროგრესისა და პიროვნების თავისუფლების სახელით გამოდის, და რომლის აზრით, პირიქით, სახელმწიფო არსებობს ადამიანისათვის. პირველი ამათთაგანი დასაწყისს ღებულობს კლასიკური სკოლიდან, მეორე-კი რომანტიული სკოლიდან. კლასიკური სკოლისათვის სახელმწიფო არის თვითმიზანი, რომანტიულ სკოლისათვის კი პიროვნება, ადამიანია თვითმიზანი. კლასიკური სკოლის პოლიტიკა მიდის სახელმწიფოს ავტორიტეტის აბსოლუტურად გაძლიერებისაკენ. რომანტიული სკოლის კი — ადამიანის თავისუფლების გაფართოებისაკენ და ჰქმნის თავისუფალ პიროვნებათა ოპოზიციას სახელმწიფო ავტორიტეტისადმი.

რომის იმპერიის საზოგადოებრივ უფლებას; როგორც ცნობილია, მთავარ დასაყრდნობ პრინციპად ედო

სახელმწიფოს აბსოლუტური ავტორიტეტი, სახელმწიფოს სრული სუვერენობა; ყოველივე სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იყო: ადამიანის პირადი ცხოვრება, საზოგადოებრივი ცხოვრება, ლიტერატურა, ხელოვნება, სარწმუნოება და მორალი. ყოველივე სახელმწიფოს ემორჩილებოდა. სახელმწიფოს კეთილდღეობა იყო უმაღლესი კანონი. რომის იმპერიის თეორიული საფუძველი კლასიკური სკოლიდან და მიმართულებიდან იყო აღებული. ამავე კლასიკური სკოლიდან სარგებლობდა უფრო ახლო წარსულში არსებული აბსოლუტური მონარქიული სახელმწიფოები ავსტრო-უნგრეთისა და გერმანეთის. იტალიის დღევანდელი ფაშისტური პარტიაც რომის ძველი გზით მიდის, ოღონდ მისი თანამედროვე პირობებთან შეთანხმებითა და შეფარდებით. მათთვისაც მთავარია სახელმწიფოს ავტორიტეტი და ადამიანი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი დარგი დამორჩილებულია ამ სახელმწიფოს ავტორიტეტისადმი.

დანარჩენი ლიბერალური და დემოკრატიული სახელმწიფოები, რომლის ნიმუშად შეიძლება აღებულ იქმნას საფრანგეთის რესპუბლიკა, საწინააღმდეგო გზით მიდიან. ეს სახელმწიფონი რომანტიულ ინდივიდუალიზმისაგან ღებულობენ თავიანთი პრაქტიკული სახელმწიფო მშენებლობის თეორიულ საფუძველს. რომანტიზმისათვის კი როგორც ვიცით, ადამიანი არის თვითმიზანი. ეს მიმართულება მოითხოვს, რომ საზოგადოება და სახელმწიფო არსებობდეს ადამიანისათვის და არა პირიქით ადამიანი საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის. ცნობილია ადამიანის ეგოიზმის უსაზღვრობა. თანამედროვე დემოკრატიულ და ლიბერალურ მიმართულებებში ჰპოვა ადამიანის ეგოიზმმა ასპარეზი. ადამიანი მიისწრა-

ფის თავისუფლებისაკენ და მის ამ მისწრაფებას საზღვარი არ უჩანს. ადამიანსა ჰსურს უაღრესი თავისუფლება, მასვე ჰსურს რაც შეიძლება ნაკლები მისცეს სახელმწიფოს და მეტი სარგებელი მიიღოს მისგან. ადამიანის ეს გაუმაძღარი ეგოისტური მოთხოვნილებანი ისეთი სისწრაფით იზრდება, რომ ხიფათში აგდებს სახელმწიფოს არსებობას, და თუ ამას ბოლო არ ექნა, სახელმწიფო მსხვერპლი გახდება პიროვენების ეგოიზმისა.

ჩვენთვის საყურადღებოა თუ როგორ ესმის ეს საკითხი ბ-ნ ჟორდანიას. აი რასა სწერს ის მის ფრანგულ გამოცემაში — დიფიკულტე სოსიალისტ: — „ცხოვრების ყოველი სტრუქტურა უნდა ემსახურებოდეს ადამიანსა და მის საჭიროება - მოთხოვნილებას, ადამიანი არის ყველა ფენომენთა საზომი. აგრეთვე ცხადია, რომ ადამიანი არის მისი პატრონი და სუვერენი"-ო.

ბ-ნ ჟორდანიას შეხედულება ამ საკითხზე სრულიად ეთანხმება რომანტიული და რევოლუციონური სკოლის შეხედულებას. დასმული საკითხის ასე თუ ისე რადიკალურად გადაჭრა და ისიც უნივერსალურად, როგორც აღვნიშნეთ, არა თუ მარტო ჩვენს ძალას, ჩვენი ეპოქის ფარგლებსაც სცილდება. ჩვენ ერთის თქმა მაინც შეგვიძლიან: შეცდომად მიგვაჩნია ამ საკითხის ასე კუთხით დასმა: პიროვნება თუ სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უპირატესობას სახელმწიფოს ვაძლევთ და არა პიროვნებას, და ამ სახელმწიფოს ავტორიტეტის პრინციპს ვიზიარებთ, არა სასარგებლოდ და შეუძლებლადაც მიგვაჩნია ამ საკითხის რადიკალურად გადაჭრა და ერთვნული სახელმწიფოს სარგებლიანობის 'თვალსაზრისით საჭიროდ მიგვაჩნია კანონმდებლობის გზით ამ საკითხის ისე მოგვარება, რომ ადამიანის გაუმაძღარ ეგოიზმს გო-

ნიერი საზღვარი დაედოს, ისე რომ მისი უნარისა და შესაძლებლობის განვითარება არ შეფერხდეს და სახელმწიფოს უზენაესი ინტერესები და მისი ავტორიტეტი არ დაზიანდეს.

საკითხის ასეთ გადაჭრას ბ-ნი ჟორდანიაც უნდა იზიარებდეს, ვინაიდან ის სწერს ზემოდ დასახელებულ მის წიგნში: „მორიგება კერძო და საზოგადო ინტერესებისა, აი დემოკრატიული კანონმდებლობის საგანი“-ო.

დემოკრატიზმი და სოციალიზმი

> დემოკრატიზმი არ არის სოციალიზმისაკენ მიმავალი გზა და ხიდი. დემოკრატია არის თავისუფლების რეჟიმი და ხელს უწყობს კონკურენციას. სოციალიზმი კი აუქმებს თავისუფლებასა და კონკურენციას.

„მრავალი სოციალური ხასიათის რეფორმები, რომელთაც პარლამენტი აკანონებს, მალე მიიყვანს საზოგადოებას სახელმწიფო სოციალიზმამდე“-ო — სთქვა სპენსერმა. ამ სიტყვების შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა და სპენსერის სამშობლოში, ინგლისში სახელმწიფო სოციალიზმი ჯერაც არ მოსულა. დემოკრატიის აბსოლუტურად მოწინააღმდეგენი ხშირად იმეორებენ სპენსერის ამ აზრს და უფრო გარკვეული ფორმითაც. ამბობენ, რომ დემოკრატიზმი არის გზა და ხიდი, რომლითაც სოციალიზმისაკენ მიდის საზოგადოებაო. განვიხილოთ თუ რამდენად საფუძვლიანია მათი ასეთი აზრი. ვნახოთ თუ რა არის საერთო და რა ნათესაობა არსებობს დემოკრატიზმსა და სოციალიზმს შორის. მოუსმინოთ დემოკრატიზმისა და სოციალური საკითხების ზედმიწევნით კარგად მცოდნე გუსტავ ლებონს: „დემოკრატია ხელს უწყობს თავისუფლებასა და კონკურენციას, რომელშიდაც იმარჯვებენ ყველა სხვებზედ უფრო უნარიანი, სო-

ციალიზმი კი წინააღმდეგ, ოცნებობს კონკურენციისა და თავისუფლების მოსპობა-გაქრობაზედ და მიისწრაფვის საყოველთაო თანასწორობისაკენ. აი დიდი წინააღმდეგობა დემოკრატიისა და სოციალიზმის პრინციპთა შორის"-ო — ამბობს ლებონი. „არა არის რა იმაზედ ნაკლებ დემოკრატიული, რაც არის კანონმდებლობის საშუალებით დანგრევის ცდა იმ სოციალურ უთანასწორობათა, რომელნიც წარმოშობილნი არიან ბუნებრივი უთანასწორობისაგან"-ო ამბობს იგივე ლებონი თავის წიგნში— „ფსიქოლოჟი დუ სოსიალიზმ" და იქვე: „არ არსებობს პოლიტიკური კონცეპციები, რომელთა შორისაც უფრო დიდი უფსკრული არსებობდეს, ვინემ დემოკრატიასა და სოციალიზმს შორის"-ო.

ახლა მოუსმინოთ სოციალისტს, ჩეხოსლოვაკიის ყოფილ პრეზიდენტს მასარიკს: „სიტყვა სოციალისტი აღნიშნავს ანტი-ინდივიდუალისტურ კონცეპციას, სოციალიზმი ილაშქრებს ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ. ინდივიდუალიზმი კი არის დემოკრატიის არსებითი შინაარსი"-ო.

ყველა ამის შემდეგ აშკარაა, რომ დემოკრატიზმსა და სოციალიზმს შორის არავითარი ნათესაობა, არავითარი იგივეობა არ არსებობს და რომ პირიქით, მათ შორის მთელი უძირო უფსკრულია. დემოკრატიის დამარცხებას შეიძლება სადმე სოციალიზმი მოჰყვეს, და ეს ასეც მოხდა რუსეთში. მაგრამ განა დემოკრატიზმის დამარცხებას არ მოჰყვა იტალიის ფაშიზმი და გერმანეთის ჰიტლერიზმი? განა ამით შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიზმი სოციალიზმის ან ფაშიზმის ხიდი იყოს?

დემოკრატიზმი კიდევ უფრო მეტად რომ გაიმიჯნოს სოციალიზმისაგან, ამისათვის აუცილებელია მისი განთა-

ვისუფლება ქონებრივი თანასწორობის პრინციპისაგან. ტყუილად არ აწვებიან სოციალისტები დემოკრატიზმის ქონებრივი თანასწორობის პრინციპს. ისინი ფიქრობენ ამ ქონებრივი თანასწორობის ცხოვრებაში თანდათანობით გატარებით დაუახლოვდნენ იმ სოციალისტურ წესწყობილებას, რომლის მთავარი პრინციპი საყოველთაო ქონებრივი თანასწორობაა და თავისუფლების ნაცვლად ადამიანის სრული საყოველთაო მონობა.

პარლამენტარიზმი

დემოკრატიზმის დედა-პრინციპი ხალხის სუვერენობაა. საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული პარლამენტი უნდა გამოსახავდეს მთლიანი ხალხის სუვერენობას. თანამედროვე პარლამენტი ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილსაც კი ვერ გამოსახავს. იგი უმცირესობის უმრავლესობაზედ ბატონობისორგანოდ იქცა. პარლამენტი ხელს უშლის მთავრობის ხანგრძლივსა და მყარს არსებობას. პარლამენტი ჰქმნის ბიუროკრატიულ მმართველობას. პარლამენტი ვერ იცავს სახელმწიფო საერთო ინტერესებს. პარლამენტარიზმი აღარ უპასუხებს თანამედროვე სახელმწიფოს საჭიროებას. თანამედროვე სახელმწიფოს სჭირდება თავისუფალი, ხელგაშლილი, ხანგრძლივი და ავტორიტეტული მთავრობა. ხალხის სუვერენობა არაფერს დაჰკარგავს პარლამენტის გაუქმებით. პარლამენტი უნდა შესცვალოს სახელმწიფო საბჭომ. ხალხის სუვერენობის განხორციელების საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია რეფერენდუმის წესი.

თანამედროვე დემოკრატიის ფორმა, რომელშიაც ის თავსდება და ნხორციელდება დემოკრატიულ ქვეყანათა უმრავლესობაში არის პარლამენტარიზმი. მოქალაქენი ხმის მიცემით ირჩევენ წარმომადგენლებს, რომელთაც ანდობენ და ანიჭებენ თავიანთ პირად უფლებებს

და გზავნიან მათ პარლამენტში. ამგვარად მოქალაქეთა სუვერენული უფლებებით და მათი მანდატით აღჭურვილი პარლამენტიც უნდა იყოს ხალხისნური, ეროვნული სუვერენობის გამომსახველი უმაღლესი, უზენაესი კანონმდებელი ორგანო. არჩევნებისა და დეპუტატთა წარგზავნის სისტემა ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოებში მეფეთა რეჟიმის დროს შემოვიდა ხმარებაში. იმ დროს წარმომადგენლებს გზავნიდნენ სახელმწიფო საბჭოში წარჩინებული წოდებანი და არა მთელი ხალხი. ამ მოვლენას საქართველოს ეროვნულ ცხოვრებაშიც ჰქონდა ადგილი თამარ მეფის ხანაში. საფრანგეთში ამ წარმომადგენლობას უფრო დემოკრატიული, ხალხისნური ხასიათი მიეცა მესამე წოდების, ბურჟუაზიის ასპარეზზედ გამოსვლით. საფრანგეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელნი იყვნენ არჩეულნი საერთო მოსახლეობის მიერ და იგზავნებოდნენ სახელმწიფო საბჭოში განსაზღვრულის დავალებებით. ასეთი წარმომადგენლობის ხასიათი შეიცვალა სახელმწიფო წყობისა და უფლების შეცვლასთან ერთად. დღევანდელს სახელმწიფოში ხალხი - ერი წარმოადგენს ერთ ორგანიულ ერთეულს, და ის არის სუვერენობის წყარო. დემოკრატიის პრინციპი ხალხის სუვერენობაა. აქედან ცხადია, რომ პარლამენტში წარგზავნილი და თავმოყრილი დეპუტატები უნდა გამოხატავდნენ მთლიანი ხალხის-ერის სუვერენულ უფლებებს. აკმაყოფილებს დღევანდელი პარლამენტი დემოკრატიის ამ ძირითად მოთხოვნილებას? მაგალითისათვის შეგვიძლიან ავიღოთ საფრანგეთის პარლამენტი. საფრანგეთი უაღრესად დემოკრატიულ ქვეყანად ითვლება. 40 მილიონ ფრანგიდან 28 მილიონ ნახევარს სრულიად არა აქვს საარჩევნო ხმის უფლება. პროცენტულად ეს რიცხვი მოსახლეობის 72-ს

უდრის, მხოლოდ 11 მილიონ ნახევარს, ე. ი. ერის 28 % აქვს მინიჭებული საარჩევნო ხმის უფლება. არჩევნებში ხმის მიცემიდან თავს იკავებს უფლებიან ამრჩეველთა საშუალოდ 22 %, რასაც 9 მილიონამდე დაჰყავს ფაქტიურ ამომრჩეველთა რიცხვი. თუ მხედველობაში მივიღებთ საფრანგეთის საარჩევნო სისტემას, რომლის წყალობით დამარცხებული უმცირესობა დეპუტატს ვერა გზავნის, ირკვევა, რომ მხოლოდ დაახლოებით 5 მილიონი ფრანგია წარმოდგენილი პარლამენტში, რომელიც ფორმალურად 40 მილიონი ფრანგის სუვერენობას წარმოადგენს. ამ უაღრესად დემოკრატიული ქვეყნის — საფრანგეთის — პარლამენტი არამც თუ საერთოდ ხალხის-ერის სუვერენობას, არამედ ის ვერ გამოხატავს ხალხის იმ უმრავლესობასაც-კი, რომლითაც თანამედროვე დემოკრატია კმაყოფილდება. რატომ, რა მოსაზრებით არის საფრანგეთის ეს რესპუბლიკანური რეჟიმი დემოკრატიული და გერმანეთის ჰიტლერის სახელმწიფო მმართველობა, რომელიც გერმანეთის მთლიანი ხალხის ხმების 90 % აგროვებს, არადემოკრატიული, თუ კი დემოკრატიის დამახასიათებელი ხალხის უმრავლესობის საერთო სურვილია და ნებისყოფა?

„საერთო არჩევნების სისტემა მხოლოდ, ვერა ჰქმნის დემოკრატიულ სულს“-ო ამბობს მასარიკი და ჩვენ უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ეს არჩევნები ვერ ამყარებს და ვერ ჰქმნის ისეთ დაწესებულებას, რომელიც შეეფერება დემოკრატიზმის იდეებსა და მისწრაფებებს. ჟ.ჟ. რუსო, რომელიც მომხრე იყო მხოლოდ პირდაპირი, ხალხის უშუალოდ მონაწილეობისა მმართველობაში, წინააღმდეგი იყო ხალხის მიერ წარმომადგენლების არჩევისა. მას შეუძლებლად და მიუღებლად მიაჩნდა მოქალაქის

მიერ თავის უფლების გადაცემა მის მიერ არჩეულ წარ-
მომადგენლისათვის. ამიტომაც იყო, რომ მას დემოკრა-
ტიული მმართველობა შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ
პატარა ქვეყნებისათვის. „საერთო არჩევნების სისტემამ“
— ამბობს ერთი მწერალი — „ვერ გაამართლა მასზედ
დამყარებული იმედები. ასეთი წესით არჩეულ პარლა-
მენტში მეფობს არა საერთო ეროვნული სული და ნების-
ყოფა, არამედ სხვა და სხვა წრეებისა და მასის ინტერე-
სები“-ო. ჩვენის აზრით, თანამედროვე სახელმწიფოს გა-
გებით პარლამენტი უნდა წარმოადგენდეს ეროვნულ
მთლიან სულსა და ნებისყოფას, საერთო ეროვნული და
სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა იყოს მბრძანებე-
ლი და კერძო პირადი თუ კლასიური ხასიათის ინტერე-
სები მას უნდა ემორჩილებოდეს. ფაქტიურად კი წინაა-
ღმდეგ მოვლენასა და მდგომარეობას აქვს ადგილი: „პა-
რლამენტის, ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სრუ-
ლი დამორჩილება მის ამრჩეველთადმი ახრჩობს საერთო
ეროვნულ ინტერესებს კერძო ინტერესების სასარგებლო-
დო“ — ამბობს ან. ტარდიე და ასე დაასკვნის: „ეს უზე-
ნაესი ორგანო სრული მონაა მისი ამრჩეველთა“-ო.

„პარლამენტში არსდება ორმოცდაათამდე კომიტე-
ტი ამომრჩეველთა სხვა და სხვა კერძო ინტერესების და-
საცავად და ეს ხდება იმ ეროვნულ სუვერენობის ორგა-
ნოში, რომლის ზრუნვის საგანი უნდა იყოს პირიქით, ერ-
ოვნულ - სახელმწიფოებრივი ინტერესები“. ... „დეპუტა-
ტები დამცველნი უამრავ კერძო ინტერესებისა, თავის
და თავად უპირისპირდებიან სახელმწიფოსა და ხაზინა-
ს-“ო, ამბობს იგივე ტარდიე.

და ასეთი კერძო ინტერესების დასაცავად წარგზავ-
ნილი პარლამენტის აშკარა ტირანიის ქვეშ არის სახელ-

მწიფოს აღმასრულებელი ორგანო მთავრობა და ასეთს პირობებში სრულიად გასაგებია, რომ საფრანგეთის რეპუბლიკანურ რეჟიმს 63 წლის განმავლობაში 94 მთავრობა გამოუცვლია. პარლამენტარული წესი მეტად უშლის ხელს მთავრობის ხანგრძლივ არსებობას და მთავრობათა ასეთი ხშირი ცვლა მეტად აზიანებს ეროვნულსა და სახელმწიფოს ინტერესებს. პარლამენტარიზმი ჰქმნის ნამდვილ ბიუროკრატიულ მმართველობას და მეტად აძნელებს ხშირად საშური საკითხების სწრაფსა და დროულ გადაჭრას. ტარდიე მოგვითხრობს თუ როგორ თვეობით უცდიდა მისი მთავრობა 1929—30 წ.წ. განმავლობაში პარლამენტის მიერ ერთი ფრიად საშური პროეკტის განხილვას. ექვსი თვე მოანდომა პარლამენტის საფინანსო კომისიამ ამ პროექტის მომხსენებლის არჩევას. ამ პროექტის განხილვა - დამტკიცებამ პარლამენტის 75 სხდომა მოინდომა, რომლის დროს 41-ჯერ დასვა ნდობის საკითხი მთავრობის თავმჯდომარემ. ეს პატარა მაგალითიც საკმაოდ ააშკარავებს პარლამენტარული რეჟიმის ბიუროკრატიულ ხასიათს.

პარლამენტარიზმი ვერ იცავს მოქალაქის პირად თავისუფლებას, რომელსაც 4—5 წლის განმავლობაში არაფერს ეკითხება მისი დელეგატი, და მის მიერ მიცემულ მანდატსაც ხომ ძლიერ ხშირად უხვევს.

პარლამენტი ვერ იცავს ეროვნულსა და სახელმწიფო საერთო ინტერესებს, რომლის წინააღმდეგაც ის ხშირად გამოდის მის ამრჩეველთა კერძო ინტერესების დასაცავად. პარლამენტი აღარ უპასუხებს თანამედროვე სახელმწიფოს ბუნებასა და მის რეალობას: დეპუტატი არ არის წარმომადგენელი მთლიანი ეროვნული ორგანიზმისა, არამედ ერთი კუთხის ან მოსახლეობის ერთი

ნაწილის მიერ არჩეული, სინამდვილეში ის მხოლოდ თავისი თავის წარმომადგენელია და უპასუხისმგებლო წარმომადგენელიც.

თვით დემოკრატიზმის მამამთავარს ჟ. ჟ. რუსოსაც კი არ მიაჩნდა მისაღებად დემოკრატიულ მმართველობის ისეთი ფორმა, რომელშიაც უმრავლესობა უმცირესობას დასჩაგრავდა. მაგრამ სხვა გვარად რომ შეუძლებელი გახდა ამ აბსოლუტურად არა სრული დემოკრატიული მმართველობითაც კი დაკმაყოფილდენ დემოკრატიის მომხრენი და ხელმძღვანელნი. თანამედროვე პარლამენტმა ვერც ამ უმრავლესობის ბატონობა განახორციელა და ფაქტიურად უმცირესობის უმრავლესობაზედ ბატონობა დაამყარა. უმრავლესობის უმცირესობაზედ ბატონობაც კი რომ განეხორციელებინა, მაშინაც კი არ შეეფერებოდა პარლამენტი დემოკრატიზმის ნამდვილ პრინციპსა და მის არსებით სულს, ვინაიდან ნამდვილი დემოკრატია არის ისეთი რეჟიმი, რომელშაც სუვერენიტეტი ყველა მოქალაქეთა ნება-სურვილისა და ნებისყოფისაგან გამომდინარეობს. „ხალხის სუვერენობის იდეამ დემოკრატიაში უარყო თავისი თავი, რადგან არსებითად ის გადაიქცა უმრავლესობის ბატონობად უმცირესობაზედ, და ჩვენ იძულებული ვართ ამითაც კი დავკმაყოფილდეთ“-ო — ამბობს გიზო.

„პარლამენტის უფლება ემყარება უმრავლესობის უფლებას. ეს პოლიტიკური ცრუმორწმუნეობაა. უმრავლესობა, რომელიც უმცირესობაზედ ბატონობს საშინელი ტირანია“. „თუ უმრავლესობის ძალადობა უმცირესობაზედ არის გასამართლებელი, რათ არ არის გასამართლებელი რომელიმე დესპოტის ფიზიკური ძალის უპირატესობა.“ „თანამშრომლობა თანხმობა და არა საზო-

გადოების დამორჩილება არის დემოკრატიული წყობილების საფუძველი“-ო — ამბობს სპენსერი. მართლაც დამაფიქრებელია ეს მოვლენა. ამა თუ იმ ეროვნულ სახელმწიფოში მოყოლილ სხვა ეროვნებათა უმცირესობის უფლებებზედ ბევრსა მსჯელობენ და ლაპარაკობენ, და არავინ არ ეძებს საშუალებას თვით სახელმწიფოს დედა ერის არჩევნებითი წესით დაჩაგრულ უმცირესი ნაწილის უფლებების დაცვისა და მათთვის იმავე უფლებების მინიჭებისათვის, რომელიც არჩევნებიდან გამოსულს გამარჯვებულ უმრავლესობას აქვს.

ყველა ამის შემდეგ სრულიად გასაგებია, რომ პარლამენტარიზმს აუმხედრდნენ არა მარტო მისი მტრები, მისი მოყვარენიც დემოკრატიული, ლიბერალური და სოციალისტური წრეებიდან. „პარლამენტის საერთო კრება არის დემაგოგთა პაემანი“-ო — ამბობს ჩეხოსლოვაკიის ყოფილი პრეზიდენტი მასარიკი; „პარლამენტარიზმი ანადგურებს სახელმწიფო ფინანსებს და პროგრესიულად ზღუდავს პიროვნულს თავისუფლებას“-ო .... „ლიბერალიზმის დანიშნულება იყო წარსულში საზღვარი დაედო მეფეთა უფლებისათვის, მომავალში კი ლიბერალიზმის დანიშნულება იქნება პარლამენტის უფლებების შეზღუდვა“-ო — ამბობს ინგლისელი სპენსერი.

„ვშიშობ რომ პარლამენტარული რეჟიმის არსებობა შესაძლებელი იყოს მხოლოდ იოლსა და აყვავების და არა რთულსა და გაჭირვების მომენტში“-ო — სთქვა საფრანგეთის მთავრობის ყოფილმა პრეზიდენტმა ლავალმა. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის კრიტიკა, რომელიც ინგლისის ცნობილმა სახელმწიფო კაცმა უინსტონ ჩერჩილმა წარმოსქვა ამ ერთი წლის წინ:

„პარლამენტმა-კომუნამ თანდათან მიითვისა სახელმწიფოს თითქმის მთელი უფლებები, მაგრამ ამავე დროს ჩვენ მოწმენი ვართ მისი პრესტიჟის დაცემისა და თან და თან მეტს უძლურობას იჩენს საზოგადო ინტერესის ნამდვილ პრობლემათა გადაწყვეტაში“-ო; „საარჩევნო უფლების გაფართოებასთან ერთად უფრო და უფრო ეცემა მისი პრესტიჟი“-ო.; „უმრავლესობა ევროპის ქვეყნების იმ პარლამენტებისა, რომლებმაც ჩვენს პარლამენტს ნიჰბაძეს, უკვე გაჰქრა. პოლიტიკური ღრუბლები ჩამოაწვა ჩვენს ქვეყანას და საარსებო პრობლემებს გარკვეულს არ ურდგენენ ხალხსა“-ო. ქვეყანა დამშლელ გავლენას განიცდის. პრესა და საზოგადოებრივი აზრი ითვისებს თანდათანობით უვარგისი და არა სრულყოფი პარლამენტის მიერ დატოებულ როლსა“-ო. „45 მილიონ ინგლისელს აქვს უაღრესად ხელოვნური და ნაკლებ საიმედო სახელმწიფო ინსტიტუცია“-ო. „ნუ თუ გონიერსა და გულწრფელ ადამიანს სჯერავს, რომ ჩვენი პარლამენტი, ასეთის გზით არჩეული, ასეთის შემადგენლობით, რომელიც ფერს იცვლის ყოველ ახალ არჩევნებში, რომელსაც ყოველთვის მომავალი არჩევნების ბედი აწუხებს, არის ის დაწესებულება, რომელმაც უნდა დაიცვას ჩვენდამი წინაპართაგან ნაანდერძევი ბრიტანეთის იმპერია. როგორ შეუძლიან ამ თვით არა მყარ დაწესებულებას გახდეს დასაყრდენი ამ დიდი იმპერიისა“-ო. „არც ზედა და არც ქვედა პალატას არ ძალუძს ეკონომიური პრობლემების დაძლევა. ჩვენ უნდა გავამაგროთ მთავრობის მექანიზმი ეგრედ წოდებულ ეკონომიურ ქვეპარლამენტით, რომელიც იქნება მყარი და არაცვალებადი, ამრჩეველთა ტერორისაგან თავისუფალი, და რომელშიც თავს მოიყრიან სინდიკატების პასუხისმგებელნი მეთაუ-

რნი და ფინანსებისა და ვაჭრობა-მრეწველობის ექსპერტები"-ო....

ჩერჩილის ასეთ გამოსვლას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ის შვილია იმ ქვეყნის, რომელსაც სთვლიან „პარლამენტარიზმის დედათ". სჩანს, „პარლამენტარიზმის დედა" ინგლისმაც დაჰკარგა რწმენა პარლამენტარიზმისა, რომელიც აღარ შეეფერება მის თანამედროვე სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხის შესახებ ქართული პოლიტიკური აზროვნებიდანაც ამოვიღოთ რამოდენიმე საყურადღებო ადგილი. გადავშალოთ ისევ ბ-ნ ჟორდანიას წიგნი „დიფიკულტე სოსიალისტ" და გავეცნოთ მის აზროვნებას. ეს მეტად საყურადღებოა, ვინაიდან ბ. ჟორდანია არის ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, მართალია დამარცხებულის, მაგრამ მომავალი პრეტენდენტიც იმავე პოსტზედ:

„უმრავლესობა არის დემოკრატიული მმართველობის წყარო, მმართველობა მოითხოვს მთავრობას მთლიანსა და განუყოფელს; აქედან ცხადია, რომ მთავრობის გაზიარება მოწინააღმდეგე ჯგუფებისათვის, მდიდრებისათვის, ნიშნავს მთავრობის დასუსტებას, დაქვეითებას — მის პარალიზაციას". „პროპორციონალური არჩევნების სისტემა, პროპორციონალური განაწილება ძალა-უფლებისა, წინააღმდეგია დემოკრატიის პრინციპებისა და მისი ინტერესებისა". „კლასთა შორის მორიგება - კომპრომისი მთავრობის შესადგენად მიუღებელია. რომელი სჯობს, ცუდი უმრავლესობის მთავრობა, თუ კლასთა კომპრომისის ნიადაგზედ შედგენილი დავლა-დაცემული მთავრობა?" — უეჭველად პირველი, უპასუხებს ბ-ნი ჟორდანია. „მოქალაქეთა უმრავლესობა არის დემოკრა-

ტიის მთავარი ორგანო“ ო დასძენს ბ. ჟორდანია. ბ-ნი ჟორდანია უარყოფს არჩევნების პროპორციონალურ სისტემას, წინააღმდეგია პარტიათა და კლასთა მორიგებისა და კოალ.იციონური მთავრობის. ეს მას დემოკრატიის საწინააღმდეგო მოვლენად მიაჩნია. ასეთი მორიგებიდან გამოსული მთავრობა მას დავლა დაცემულად მიაჩნია. და ამ დავლა დაცემულსა და ცუდი უმრავლესობის მთავრობის შორის არჩევანს ახდენს უკანასკნელის სასარგებლოდ. ცუდი და პარალიჩი, აი, ამ ორი შესაძლებლობის შუა მოემწყვდა ბ-ნი ჟორდანიას დემოკრატიული შემეცნება და სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. კოალიციონური მთავრობები ძლიერ ხშირია დემოკრატიულ ქვეყნებში. ასეთი მთავრობები ჰყავს ხშირად ინგლისის იმპერიასაც და მათი პარალიჩი და დავლა დაცემულობა ჯერ არავის უთქვამს. საქართველოს ჰყავდა „უვარგისი უმრავლესობის“ მთავრობა, რომელმაც საქართველო დაჰკარგა და ამ მთავრობის თავმჯდომარე თვით ბ-ნი ჟორდანია იყო. ჩვენ არ გვესმის იმაზედ მეტი პარალიჩი და იმაზედ მეტი დავლა დაცემა, რაც ამ „უვარგისი უმრავლესობის“ მთავრობამ საქართველოს თავს დაატეხა. ამ მთავრობის მოღვაწობასა და მის შედეგს არ უნდა ეკარნახებია ბ-ნ ჟორდანიასათვის ასეთი არჩევანი. რას იტყვის ბ-ნი ჟორდანიას დემოკრატიული სინიდისი, რომ საქართველოს მოევლინოს ჟორდანიას მოწინააღმდეგე ბანაკიდან ასეთი უმრავლესობის ერთფერი მთავრობა? თუ ხალხის უმრავლესობაა დემოკრატიის მთავარი ორგანო, რათ ებრძვის ბ-ნი ჟორდანია და მისი მეგობრები გააფთრებით და რად მიაჩნიათ მათ არა დემოკრატიულად, გერმანეთში ხალხის 90 %-ს მიერ არჩეული ჰიტლერის მთავრობა? ჩვენ დემოკრატიის პრინციპებისა და მისი ინტე-

რესებისათვის უფრო შესაფერად მიგვაჩნია, ისეთი კოა-
ლიციონური მთავრობა, რომლის საფუძველი იქნება ერი
მთლიანად და არა ღარიბი - პროლეტარი ან მდიდარი
ბურჟუა კერძოდ. თუ პროპორციონალური არჩევნები
დემოკრატიულია, მთავრობაშიც უნდა წარდგენილ იქ-
მნას არჩევნების ეს პროპორციის შედეგი. ასეთი მთავ-
რობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს უმრავლე-
სობაც და უმცირესობაც, იქნება სამართლიანი და მთლი-
ანი ერის სურვილის გამომხატველი. ბ. ნ. ჟორდანიას მი-
ერ არჩეული მთავრობა კი იქნება უმრავლესობის ბატო-
ნობის გამომხატველი და ისიც უვარგისი უმრავლესობ-
ბის გამომხატველი: ღატაკთა და პროლეტართა, და ასე-
თი მთავრობა ხომ დღესაცა ჰყავს საქართველოს რუსე-
თის მიერ დაყენებული, და მას პროლეტარიატის დიქტა-
ტურა ჰქვიან.

მივყვეთ კიდევ ბ-ნ ჟორდანიას: „ბურჟუაზიაა ის,
ვინც მოსძებნა დემოკრატიზმი და მისი ბატონობის ია-
რაღად გამოიყენა. უმრავლესობის მოჩვენებითი ბატო-
ნობა არის ფაქტიურად და არსებითად უმცირესობის,
ბურჟუაზიის ბატონობა"-ო. „ხალხის ინტერესების და-
ქვეითებას, წაშლას-უარყოფას და მის ადგილას შეძლე-
ბულთა ინტერესების გაბატონებას ემსახურება დემოკ-
რატიულ რეჟიმის თანამედროვე ყოველი ფორმა". „წა-
რმომადგენლობითი სისტემა პიროვნულ ინდივიდუა-
ლურს არჩევნებზედ დაყრდნობილი არის მთავარი იარა-
ღი ბურჟუაზიის ბატონობისა"-ო — ამბობს ბ-ნი ჟორდა-
ნია.

ყველა ამის შემდეგ გაუგებარია ბ. ნ. ჟორდანიას
მიმდევართა ხშირად გააფთრებული გამოსვლები პრე-
საში თუ საზოგადო კრებებზდ ჟორდანიას მიერ ამ ტყავ

გაძრობილ დემოკრატიის დასაცავად. კვლავ მივყვეთ ბ. ჟორდანიას აზროვნებას:

„ბურჟუაზიული დემოკრატია გაკოტრდა. ყოველი პოლიტიკური მიმდინარეობა ეძებს ახალს გამოსავალს, სწყვეტს დღემდე ნაწარმოები პოლიტიკის ხაზს და ცდილობს საზოგადოების ახალ ლიანდაგზედ შეყენებას"-ო.

„პარლამენტარიზმი — ეს ინდივიდუალური არჩევნების სისტემა, აცილებს მთავრობას ხალხისაგან, ამყარებს უსაზღვრო ბიუროკრატიას და იწვევს გადაჭარბებულს გადასახადებს. თანამედროვე სახელმწიფოს ყოველი იარაღი წარსულს ისტორიას უნდა ჩაბარდეს. უნდა შეიცვალოს თვით რეჟიმიც, რომელმაც ადგილი უნდა დაუთმოს ხალხოსნური სახელმწიფოს აპარატს. **ამ ხალხოსნური სახელმწიფოს ფორმა მოგვცა პარიზის კომუნამ**"-ო ბრძანებს ბ-ნი ჟორდანია და განაგრძობს: ენგელსი სამართლიანად ამბობდა — შეხედეთ პარიზის კომუნას, აი ნამდვილი პროლეტარიატის დიქტატურა"-ო. ყველა მიმართულებაზედ უფრო სჭირდება თვით სოც. დემ. პარტიას მისი შემცდარი და რეალური ცხოვრების მიერ მიუკარებელი პოლიტიკის ხაზის შეწყვეტა და ახალი გზების ძებნა ამ ჩიხიდან გამოსასვლელად. ბ. ჟორდანიამ სჩანს, ეს ნაწილობრივ შეიგნო. თანამედროვე საზოგადოების ახალს ლიანდაგზედ შეყენებას ცდილობს და ამ ახალ ლიანდაგად პროლეტარიატის დიქტატურის ის ფორმა მიაჩნია, რომელიც 70 წლების პარიზის კომუნამ წარმოუდგინა კაცობრიობას. დამოუკიდებელი და შემდეგ დაპყრობილი საქართველოს ისტორიის მწარე და ერისათვის მეტად ძვირი გაკვეთილებით, ჩვენდა სავალალოდ, თვით მთავრობის თავმჯდომარესაც ვერ უსარგებლია და საქართველოს მომავალი მეთაურობის პრეტენდენტი

პარიზის კომუნარების წითელ კედელთან მიდის და მუ-ხლს იყრის.

ისევ და ისევ მივყვეთ ბ-ნ ჟორდანიას აზროვნებას: „ჩვენს წინ ძლიერ მძიმე პრობლემა სდგას: როგორ შეიძლება დემოკრატიის თვით სუვერენული ხალხის მიერ შემოტევისაგან დაცვა“-ო. ცოტა კიდევ ქვევით: „რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა თვით ხალხის მიერ რეფერენდუმით ეწინააღმდეგება დემოკრატიის ინტერესებს. ასეთი პროცედურა თავის არსებაშივე ატარებს მონარქიული და ბონაპარტისტული რეჟიმის ჩანასახსა“-ო — ბრძანებს ბ. ჟორდანია. სხვა რომ არა ვსთქვათ, ახირებულია ამგვარად საკითხის დასმა. ამავე წიგნში ბ-ნი ჟორდანია გვეუბნება — ხალხის სუვერენობაა დემოკრატიის მთავარი პრინციპი და მის დაცვას-გადარჩენას უნდა შეეწიროს დემოკრატიის სხვა დანარჩენი პრინციპებიო. ახლა კი გვეუბნება, რომ ეს სუვერენი ხალხი საშიში მტერი ყოფილა დემოკრატიისა და მის შემოტევებისაგან დემოკრატიის დაცვის საკითხს უმძიმეს პრობლემად გვირდგენს. სუვერენი ხალხი ისეთი საშიში ყოფილა, რომ მას რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის უფლებასაც არ აძლევს. ხალხის ასეთი სუვერენობა ალბად პარიზის კომუნის მიერ მოცემულს პროლეტარიატის დიქტატურის ფორმას უფრო შეეფერება ვინემ ჭეშმარიტ დემოკრატიის ფორმას.

დაუბრუნდეთ ისევ კერძოდ პარლამენტარიზმს. ჩვენ საკმაოდ მოვიყვანეთ პარლამენტარიზმის შესახებ გამოთქმული აზრები თვით ამ პარლამენტარულ რეჟიმში პრაქტიკულად მომუშავე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა: კონსერვატორების, ლიბერალების, დემოკრატებისა და სოციალისტების წრეებიდან. მათი აზრები

შედეგია და დასკვნები არა ამ საკითხის თეორიული შესწავლისა, არამედ მათი მოღვაწეობის ათეულ წელთა სივრცეზედ დაგროვილი ფაქტიური მასალებისა, დაკვირვებებისა და გამოცდილებისა. პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა აზრები განგებ არ მოგვიყვანია. ზოგიერთი თეორეტიკოსების აზრებიც საკმაოდ მოვიყვანეთ. ყველა მათ აზრებს, რომ თავი მოუყაროთ ირკვევა, რომ პარლამენტარულ მა სისტემამ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება; სხვა და სხვა ფორმის საარჩევნო სისტემაზედ დამყარებულმა ვერ შესძლო მთლიანი ხალხის-ერის ნება-სურვილის და ნებისყოფის გამოსახვა; ვერ შესძლო სახელმწიფოს საერთო ღენერალური ინტერესების სამსახური-განაღდება და დაცვა; ვერ განახორციელა დემოკრატიის მთავარი პრინციპები: ხალხოსნური სუვერენობა, პიროვნული თავისუფლება, თანასწორობა; შექმნა სრული ბიუროკრატიული რეჟიმი; დაამძიმა სახელმწიფო აპარატი, ჩადგა ხალხისა და მთავრობის შუა და ხალხი მთავრობისაგან დააშორა. თავაშვებული და უსარგებლო პირადი ინტერესების მადის გალვიძებითა და მათდამი მფარველობით დაუპირისპირდა სახელმწიფოს საერთო საარსებო ინტერესებს; სუვერენობა წაართვა და დაიმონა ხალხი; სწრაფი მოქმედების თავისუფლება წაართვა და მისდამი დამოკიდებულ ორგანოდ აქცია აღამასრულებელი ორგანო მთავრობა; გააძნელა მთავრობის ხანგრძლივი არსებობა. ყველა ამის შემდეგ ცხადია, რომ ასეთი პარლამენტი აღარ უპასუხებს თანამედროვე სახელმწიფოს საჭიროებას, ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფოს სჭირდება თავისუფალი, ხელგაშლილი, ხანგრძლივი და ავტორიტეტული მთავრობა. „მთელი ქვეყანა გარდაქმნის, გადახალისების ხანაში შე-

ვიდა, ამ საერთო მოთხოვნილებასა და კანონს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ასცდა ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. 60 წლის არსებობით დამძიმებული პარლამენტიც ვერ ასცდება ამ საერთო კანონსაო" — ამბობს ანდრე ტარდიე.

„თანამედროვე სახელმწიფოს ორგანიული გაგებით" — ამბობს უფლების პროფესორი, იტალიელი ორლანდო — შეუძლებელია დაუშვათ და მივანიჭოთ მოქალაქეს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ავტონომიური უფლება; დაუშვებელია, რომ ის იყოს სახელმწიფოზედ უზენაესი"-ო. დ განაგრძობს: „მოქალაქისათვის სავალდებულოა სახელმწიფოსადმი მორჩილება, აქედან ცხადია, რომ მოქალაქე ვერ წარგზავნის დეპუტატს ვერავითარი ბრძანებითი ხასიათის მანდატით"-ო.

აქდან ცხადია, რომ თანამედროვე სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს ამ გამოუსადეგარი პარლამენტის გაუქმებას და მის ადგილას საჭირო და გამოსადეგი ორგანოს შექმნას, რომელშიც წარგზავნილი იქნებიან არა მხოლოდ ვექილები, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი დარგის მცოდნე და გამოჩენილი მოღვაწენი და მუშაკნი, არა რაიმე ბრძანებითი ხასიათის მანდატებით აღმასრულებელ მთავრობის საკონტროლოდ, არამედ ამ მთავრობის დასახმარებლად და მრჩევლად. ამ ორგანოში უნდა ბატონობდეს საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სული და ინტერესები და არა კერძო პიროვნული, კერძო კლასიური თუ კერძო საზოგადოებათა ინტერესები. ასეთი საბჭო შემდგარი საქმიანი წრეებისაგან სრულიად უპასუხებს თანამედროვე სახელმწიფოს საჭიროებას, რომელიც დამძიმებულია დიდი საშინაო თუ სგარეო პრობლემებით.

საერთო ხალხის სუვერენობა არაფერს დაჰკარგავს და პირიქით მოიგებს კიდეც პარლამენტის გაუქმებით. ხალხოსნური სუვერენობის საუკეთესო გამომსახველად მიგვაჩნია ხალხის დაკითხვის — რეფერენდუმის წესი ეროვნული არსებობის - ცხოვრების მნიშნელოვანი საკითხების შესახებ.

„ხალხს თუ დაჰკითხავთ მთავრობის შემადგენლობის შესახებ, ის მიგითითებთ იმ მთავრობაზედ რომელიც მას სურს და ვერასოდეს იმაზედ, რომელიც მას სჭირდებაო“ — ამბობს ფრანგი ისტორიკოსი ტენი.

„ხალხის დაკითხვა — რეფერენდუმი საუკეთესო საშუალებაა საერთო ეროვნული ნება-სურილის გამოსარკვევად, რაიც აუცილებელი საჭიროა სახელმწიფო მიზნების დასახვისათვის. მაგრამ ხალხი ნაკლებად ერკვევა ამ დასახული მიზნების განხორციელების საშუალებათა არჩევაში, რომლისათვისაც მან უნდა მიმართოს სახელმწიფო კაცის გამოცდილებასა და სიბრძნესა“-ო — ამბობს ფრანგი მწერალი ჟუსენი.

ასეთი რეფერენდუმის სისტემა დაახლოებს ხალხსა და აღმასრულებელ ორგანოს — მთავრობას, რომელსაც შეეძლება პარლამენტის სამაგიეროდ შექმნილ საბჭოსთან ერთად ხალხის ნება-სურვილის მიზნების სახით დასახვა და მათი განხორციელება. ასეთი რეფერენდუმი ხმარებაშია შვეიცარიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაარსებიდანვე და ამერიკაში. დანარჩენ დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხის რეფერენდუმს არ მიმართავენ, მაშინ როცა „ოტორიტარული“ სახელმწიფო გერმანეთიც კი საკმაოდ ხშირად მიმართავს. საფრანგეთის მთავრობათა თავმჯდომარეებმაც, რომ ამ უკანასკნელ წლებში გაუხშირეს პარლამენტისა და სენატის დროებით დათხოვნას,

ამ ხნის განმავლობაში დეკრეტების სახით თავისუფალ მოქმედებას და ერისადმი უშუალოდვე რადიოთი მიმართვას, არაფერს ამბობს პარლამენტის სასარგებლოდ და ბევრს ამბობს მთავრობის თავისუფალ მოქმედებისა და რეფერენდუმის სასარგებლოდ. ინგლისელ სპენსერსაც აუცილებლად მიაჩნია რეფერენდუმი. პარლამენტის უფლებათა შესაკვეცად, საჭიროა მთავრობის უფლების გაძლიერება და ხალხისა და მთავრობის დაახლოება, რის საუკეთესო საშუალებად მას ხალხის დაკითხვა, რეფერენდუმი მიაჩნდა.

„ხალხოსნური რეფერენდუმი", — ამბობს ერთი მწერალი — „იდეურ და სხვა და სხვა საკითხებზედ არის აუცილებელი იმისათვის, რომ ხალხი მართლა იყოს სუვერენი და თავისუფალი"ო.

რეფერენდუმის ოთხი ფორმიდან — 1. ვეტოს უფლება; 2. სავალდებულო რეფერენდუმი; 3. პირობითი (ფაკულტატივ) რეფერენდუმი და 4. საკანონმდებლო - საინიციატივო — სახელმწიფომ უნდა აირჩიოს ის ფორმა, რომელიც მას მიუდგება და გამოადგება.

რეჟიმის საკითხი

> დემოკრატიულმა რეჟიმმა საერთოდ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. ეს რეჟიმი მიუდგა და გამოადგა ზოგიერთ სახელმწიფოს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ გამოადგება საქართველოსაც. განთავისუფლებულ საქართველოს უფრო მიუდგება ოტორიტარული რეჟიმი პიროვნული თავისუფლებისა და უფლებრივი თანასწორობის პრინციპებთან შეთანხმებული.

ასეთი მოკლე მიმოხილვის და შიგა და შიგ ცალკე დასმული საკითხებისადმი ნაწილობრივი პასუხის გაცემის შემდეგ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი საერთო დასკვნების გამოტანა და ამით, ნაშრომის დასაწყისშივე დასმული მთავარი პრობლემებისადმი პასუხის გაცემა.

დემოკრატიულმა რეჟიმმა საერთოდ ორიოდე სახელმწიფოს გამოკლებით, ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება და მრავალი ქვეყანა ანარქიასა და ომის წინ დააყენა. დემოკრატიამ ვერ დასძლია სახელმწიფოთა არსებობის ის დიდი საშინაო თუ საგარეო პრობლემები, რომელთა მოუწესრიგებლობა ხიფათს უმზადებს კულტურულ კაცობრიობას.

„საერთაშორისო დემოკრატიის კრიზისი ყოველი იჭვის გარეშეა. ომის შემდეგ დემოკრატიის გამარჯვება უდღეური აღმოჩნდა: დემოკრატიამ ვერ გაამართლა ის

გადაჭარბებული იმედები, რომელსაც მასზედ ამყარებ-
დნენ. მას არ ძალუძს ეკონომიური კრიზისის შენელება,
არც არეული და გამწვავებული საერთაშორისო ურთი-
ერთობის დაცხრომა. არასოდეს ხალხთა მეტოქეობა ისე
ძლიერი არა ყოფილა, როგორც ამ ჩვენს დემოკრატიულ
ეპოქაში. დემოკრატიის ბატონობა ეკონომიური ქაოსისა
და საერთაშორისო აღრეულობის ბატონობად გადაიქცა.
დემოკრატიამ ვერ შესძლო პირველი გამოცდის ჩაბარე-
ბა, ვერ შესძლო პირველი დიდი წინააღმდეგობის დაძ-
ლევა"-ო. „ხალხი მხედრდება დემოკრატიის წინააღმდეგ
უბედურობის დროს, და ის მას მისდევს, მხარს უჭერს
ბედნიერების დროს." ... „სჩანს დემოკრატია საუკეთე-
სოა ნორმალური მდგომარეობის დროს, ხოლო როგორც
კი ეს ნორმალური მდგომარეობა ირღვევა, მაშინვე რე-
ჟიმის პრობლემა სდგება"-ო — ამბობს ბ-ნი ნ. ჟორდანია
ჩვენს მიერ დასახელებულ წიგნში. გულის ტკივილითა
და მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვეთანხმე-
ბით ბ-ნ ნოე ჟორდანიას მიერ დემოკრატიის მდგომარე-
ობის ასეთს დაფასებას. ამის შემდეგ სდგება მომავალ თა-
ვისუფალ საქართველოს რეჟიმის საკითხი. ჩვენის აზრით
საქართველოს თავისუფლება არც ისე შორს არის, რომ
მის მომავალ სახელმწიფოებრივი რეჟიმის შესახებ ფიქ-
რი და ზრუნვა ნაადრევი იყოს.

„იმისათვის რომ იცოდეთ ის, თუ რა უნდა ჰქნათ
დღეს, აუცილებელია და გონიერი დაკვირვებით განიხი-
ლოთ წარსული ისტორიის ხაზი, ვინაიდან დღევანდელი
და ხვალინდელი დღე მხოლოდ მისი გაგრძელება" არი-
სო სთქვა არისტოტელმა.

„საჭიროა ძველი ტრადიციებისადმი დაბრუნება,
შესწავლა მათი, აქედან იმის ამოღება, რაც საუკეთესო

იყო და მისი ცხოვრების ახალს პირობებთან შეგუება; ე.ი. თავისუფლების პრინციპის შენახვასთან ერთად აღდგენა ძველი ავტორიტეტისა, დღეს მეტად დასუსტებულისაო“ — სწერს იტალიელი უფლების პროფესორი ორლანდო.

ბევრი არ არის ერი, რომელსაც ისეთი მდიდარი ისტორიული წარსული ჰქონდეს, როგორც ჩვენ, ქართველ ერს. მისკენ მიხედვა და მისი სიმდიდრით სარგებლობა გვმართებს მომავალი რეჟიმის საკითხის პასუხგასაცემად და არა უცხო ქვეყნის ისტორიის და ისიც პარიზის კომუნარების ისტორიისაკენ მიხედვა.

„ავტორიტეტი და მისადმი მორჩილება არის არა მარტო აუცილებელი, არამედ საჭიროც“ — სთქვა არისტოტელმა და ეს ავტორიტეტი, რომლის ადგილი ცარიელია თანამედროვე დემოკრატიაში, არის აუცილებელი და საჭირო ყოველი ქვეყნისათვის, ყოველი რეჟიმისათვის და განსაკუთრებით ქართველი ერისათვის. ამ ავტორიტეტის ძებნაში არიან დღეს ანარქიის წინ დამდგარი დემოკრატიული ქვეყნები.

„ვცხოვრობთ დღიდან დღემდე დაავადებულს ატმოსფერაში, არსად სიწყნარე, არსად სიმშვიდე, არსად ნდობა. გრძნობ, რომ უმნიშვნელო ინცინდენტი შეიძლება მძიმე კრიზისად გარდაიქცეს, და ეს იმიტომ, რომ არ არის არც ავტორიტეტი და არც ნამდვილი მთავრობა“ — მოსთქვამს ფრანგი ცნობილი ჟურნალისტი, დემოკრატი და რესპუბლიკელი დორმესონი.

„დემოკრატია მოითხოვს ისეთსავე მაგარს ხელისუფლებას, როგორსაც დიქტატურა“... „ჩვენ გვჭირდება ხელისუფლება, რომელშიაც ავტორიტეტი და თავისუფლება მორიგებული იქნება, რომელშიაც სახელმწიფო და

მოქალაქე იქნებიან ერთსა და იმავე დროს მიზანიც და საშუალებაც“-ო — ასე მიმართა ბალდვინმა ინგლისის იმპერიის ახალგაზრდობას.

მოუსმინოთ აქ აღძრული საკითხის შესახებ საფრანგეთის მეფის პარტიის ლიდერს შარლ მორას: „კლასიციზმის ძვირფასი პრინციპი ავტორიტეტისა არის აუცილებელი ყოველი დროისა და მდგომარეობისათვის, მაგრამ ამავე დროს რომანტიზმის ძვირფასი პრინციპი — თავისუფლებისა არ არის პირველზედ ნაკლები საჭირო ყოველი დროისა და მდგომარეობისათვის. ამ ორი პრინციპის მორიგება, შეთავსება აუცილებელი საჭიროა“-ო — ამბობს შარლ მორა, რომელიც ასეთი ფორმით გამოსთქვამს თავის პოლიტიკურ იდეალს: „მმართველობის მთლიანობა მაგარი მთავრობის ხელში, უაღრესი პატივის ცემა თავისუფლებისადმი“-ო.

საჭირო აღარაა ამგვარი აზრების კიდევ მოყვანა სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწერებიდან. ცხადი ხდება, რომ არის საერთოდ ძიება ისეთი პოლიტიკური რეჟიმისა, რომელშიაც შეთავსებული იქნება სახელმწიფოს ავტორიტეტი და პიროვნების თავისუფლება, ეს ორი ძირეული ელემენტი ის საფუძველია, რომელზედაც უნდა დაფუძნდეს თანამედროვე სახელმწიფო. ზოგი იტყვის, რომ ეს შერევაა ორი ფორმის, ორი სხვა და სხვა რეჟიმის. ჭეშმარიტად, ეს ასეა. ეს ის საშუალო ხაზია, რომელზედაც უნდა დადგეს ორი უკიდურესი ფორმა, ორი უკიდურესი რეჟიმი. „კანონებში, ამბობენ, რომ საუკეთესო მმართველობა არის ის, რომელიც შესდგება დემოკრატიისა და ტირანიისაგან, რომელნიც ცალ-ცალკე აღებული ერთნაირადვე მიუღებელია. კონსტიტუცია, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ფორმის რეჟიმის შერევისაგან,

არის საუკეთესო“-ო — ამბობს არისტოტელი. თუ ადამიანთა საზოგადოების დასაყრდენი და არსებობის პირობა თანხმობა-მორიგებაა, სახელმწიფო მმართველობის ეს ორი უკიდერესი ფორმაც, რომელთა შორის ბრძოლა საუკუნოების განმავლობაში სწარმოებს და ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს, უნდა მორიგდნენ, ერთმა მეორეს დაუთმოს, ერთი მეორეს შეეთვისოს და შეეგუოს. ამით შეიძლება გადარჩენილ იქმნას დემოკრატიულ რეჟიმიდან ის ელემენტები, რომელნიც აუცილებელნი არიან პიროვნებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. **შეთანხმება ავტორიტეტული და თავისუფლების რეჟიმთა ჩვენი საუკუნის მოთხოვნილებაა.**

გვეტყვიან, ასეთი რეჟიმი უკვე არსებობს ფაშისტური იტალიის სახითო. ეს ნაწილობრივ მართალია, მაგრამ ფაშიზმი, ეს იტალიური სპეციფიური მოვლენა არის და იმდენად მიუდგება საქართველოს ცხოვრებას, რამდენადაც საქართველო და ქართველი ერი ჰგავს იტალიასა და იტალიელთა ერს. ყოველ ერს აქვს თავისი განსაკუთრებული სული და ხასიათი, გეოგრაფიული, ეკონომიური და მატერიალური პირობები. მისი რეჟიმი, მისი სახელმწიფო მმართველობის ფორმა და კონსტიტუციაც აქედან უნდა გამომდინარეობდეს, ამას უნდა შეეფერებოდეს. „ხალხს მართავს-განაგებს მისი ხასიათი, და ყოველი სახელმწიფო ფორმა, რომელიც არ არის ჩამოსხმული მისი ამ ხასიათის კალაპოტზედ, ჰგავს ნათხოვარს ტანსაცმელს“-ო — ამბობს ლებონი.

ერთი და იმავე პრინციპის ირგვლივ იქნება სხვა და სხვა სოციალური და პოლიტიკური რეჟიმი, იმის და მიხედვით, თუ რომელი ერი ჰქმნის მას. ის მოვლენაც, რომ ფაშიზმი სხვა და სხვა სახით ჩამოყალიბდა და ყალიბდე-

ბა სხვა და სხვა ერებში, ამისი ცოცხალი ილუსტრაციაა. არც ერთი რეჟიმი არ არის მუდმივი, ის ცვალებადობას განიცდის დროისა და ეპოქის მიხედვით; მაგალითად საფრანგეთმა ერთი საუკუნის განმავლობაში 14 რეჟიმი გამოიცვალა. არც ერთი რეჟიმი არ არის უნივერსალური. ის, რაც ერთ ერს გამოადგება, მეორეს არ მიუდგება და არ გამოადგება. მაგალითად დემოკრატიული რეჟიმი საუკეთესოდ გამოადგა პატარა შვეიცარიას, მაგრამ ამით არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთივე დემოკრატიული რეჟიმი ისევე კარგად გამოადგება პატარა საქართველოს. სულ სხვა არის შვეიცარიის ხალხი, მისი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა, სულ სხვა არის ქართველი ერი, საქართველო, მისი მდგომარეობა და მდებარეობა. ჩვენ შეგვიძლიან დემოკრატია დავსტოვოთ ადგილობრივი ადმინისტრატიული მმართველობის ფორმად, საქალაქო თვითმართველობისა თუ ერობის სახით. ასეთი მინიმუმით ჩვენს ქვეყანაზედ უფრო დიდი ქვეყნის დემოკრატებიც კი კმაყოფილდებიან.

„თანამედროვე დემოკრატია. არ არის ხალხოსნური მთავრობა-ხელისუფლება, არამედ ხალხოსნური ადმინისტრაცია და ეს ხალხოსნური ადმინისტრაცია არის დემოკრატიის არსებითი დანიშნულება და ამით უნდა დავკმაყოფილდეთ“-ო — ამბობს ჩეხოსლოვაკიის ყოფილი პრეზიდენტი მასარიკი. და ჩვენ ქართველებს რათ არ შეგვიძლიან ასეთი ადმინისტრატიული დემოკრატიით დავკმაყოფილდეთ და სახელმწიფო მმართველობის ფორმა კი შევქმნათ შესაფერი ჩვენი ისტორიული წარსულისა, ჩვენი ზნე-ჩვეულებისა, ჩვენი ეროვნული სულისა და ხასიათისა. **ოტორიტარული რეჟიმი პიროვნულ თავისუფლებისა და უფლებრივი თანასწორობის პრინციპებთან**

შეგუებული. ეს არის სახელმწიფო მმართველობის ის ფორმა, რომელიც ჩვენს ეროვნულ მეობას, ჩვენს თანამედროვე პირობებსა და ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულს მდებარეობას შეეფერება, და არა პარიზის 70 წლის კომუნა, რომელსაც ბ-ნი ნოე ჟორდანია გვირჩევს, და რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ჩვენს ეროვნულ მეობასთან.

„ის ერები, რომელნიც დემოკრატიულმა სულმა დაიპყრო მალე დავლა დაცემულნი იქნებიან და ის ერები, რომელნიც ბოლომდე დაუთმობენ და მიჰყვებიან დემოკრატიას, აღიგვებიან დედამიწის ზურგიდანა“-ო—სთქვა ფრანგმა დიდმა სოციოლოგმა გუსტავ ლებონმა.

იმ ქართველის ეროვნული სინიდისი, რომელიც ამ აზრის დამადასტურებელს მაგალითებს თანამედროვე ცხოვრებაში ხედავს, თავისივე არსებაში იპოვის საკმაო ენერგიას, ძალასა და გამბედაობას, უარიჰყოს განუხორციელებელ, ფანტასტიურ სოციალურ - პოლიტიკურ იდეებს, იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფოებრივი წყობა რეალურსა და მყარ საფუძვლებზედ დააფუძნოს და ამით ქართველი ერისა და საქართველოს არსებობა მარადჰყოს.

ჩვენ ქართველებად დავიბადენით და ამ აქტით უზენაესი მოვალეობა მივიღეთ, ჩვენს წინაპართაგან საუკუნოების განმავლობაში შექმნილი და ჩვენთვის ნაანდერძევი ქართველი ერისა და საქართველოს წინაშე.

Imp. de Navarre: 5, rue des Gobelins, Paris